

**ეროვნული და კორპორაციული უსაფრთხოების  
სასწავლო-კვლევითი ცენტრი**

**სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის -  
„ეროვნული და კორპორაციული უსაფრთხოება“ -  
მასალები**

**შრომების კრებული I**

**2017 წლის მაისი**

**მთავარი რედაქტორი:**

**დავით კუხალაშვილი** - ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, თადარიგის პოლკოვნიკი, სახელმწიფო და კორპორაციული უშიშროების სპეციალისტ-ანალიტიკოსი

**მთავარი რედაქტორის მოადგილე:**

**თენგიზ ენდელაძე** - ისტორიის დოქტორი, პროფესორი, თადარიგის გენერალ-მაიორი, სახელმწიფო და კორპორაციული უშიშროების სპეციალისტ-ანალიტიკოსი

**პასუხისმგებელი მდივანი:**

**სალომე გუმბერიძე** - სტუ უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის საჯარო მმართველობის დოქტორანტურის III კურსი

**სარედაქციო კოლეგია:**

**მარატ ციციშვილი** - ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ფიზიკა მათემატიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი

**ვახტანგ მასისაია** - პოლიტიკური და სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**გიორგი ჯაბაური** - ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი, სახელმწიფო და კორპორაციული უშიშროების სპეციალისტ-ანალიტიკოსი

**ოთარ ქოჩორაძე** - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

**მზევინარ გურული-კუხალაშვილი** - აგრარულ მეცნიერებათა დოქტორი

**თამარ ბრეგაძე** - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი

ISSN 2449-3071

აიპ „ეროვნული და კორპორაციული უსაფრთხოების სასწავლო-კვლევითი ცენტრი“

**დავით კუხალაშვილი** - აიპ „ეროვნული და კორპორაციული უსაფრთხოების სასწავლო კვლევითი ცენტრი“.....5-7

**სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობა**

**თენგიზ მარჯანიშვილი, ემზარ საბანაძე, თაკო შევარდნაძე** - სახელმწიფოსა და კორპორაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ზოგად სამართლებრივი მიმოხილვა.....8-15

**სალომე გუმბერიძე** - კიბერსივრცე, როგორც სადაზვერვო საქმიანობის მნიშვნელოვანი ობიექტი.....16-24

**მაია წასიძე** - არასწორი საკადრო პოლიტიკა - საფრთხე სახელმწიფოს განვითარებისათვის.....25-30

**თორნიკე ზედელაშვილი** - „საინფორმაციო ომის“ სადაზვერვო ხასიათი, მასთან ბრძოლისა და „ნატოს“ ახალი გეოსტრატეგიული ამოცანები.....31-37

**მარიამ მალრაძე** - დანაშაულებრივი დაჯგუფებების სადაზვერვო ზეგავლენის ობიექტები.....38-43

**რუსლან შავაძე** - უცხო ქვეყნების სადაზვერვო საქმიანობის დამაზიანებელი როლი უახლესი ისტორიის საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებაზე.....44-49

**ვახტანგ მაისაია** - ნატოს უელსის სამიტი - საფრთხეების გამოვლენა და ახალი გეოსტრატეგიის შემუშავება - ომი გლობალურ ჯიჰადს.....50-59

**ბექა გოგინავა** - საქართველო, როგორც უცხო სახელმწიფოების ეკონომიკური დაზვერვის სამიზნე ობიექტი.....60-64

**მედია ჭილაძე** - საბოტაჟი, დანაშაული საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ.....65-70

**დ.კუხალაშვილი, მ.გურული-კუხალაშვილი** - ეკონომიკური დაზვერვის თეორიული ასპექტები. ეკონომიკური საბოტაჟი.....71-77

**თენგიზ ენდელაძე** - შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო რაზმი საქართველოს პირველი რესპუბლიკის უშიშროების სამსახურში.....78-86

**ვეფხია სამსონიძე** - საპერლუსტრაციო საქმიანობა ევროპასა და ამერიკაში.....87-94

**კორპორაციული უსაფრთხოება**

**ნიკოლოზ ბალახაძე** - კომპანიათა უსაფრთხოება, მათი კავშირი სახელმწიფო უშიშროებასთან.....95-100

**გიორგი ჯაბაური** - კონტრაფაქციული და ფალსიფიცირებული პროდუქცია-სერიოზული საფრთხე ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის.....101-105

**დავით კუხალაშვილი** - ეროვნული და კორპორაციული უსაფრთხოების სასწავლო-კვლევითი ცენტრის დირექტორი

აიპ „ეროვნული და კორპორაციული უსაფრთხოების სასწავლო კვლევითი ცენტრი“ 2016 წლის შემოდგომაზე ჩამოყალიბდა. ცენტრის ძირითად მიზანს ეროვნული უსაფრთხოების კუთხით ქვეყნის მოსახლეობის ცნობიერების დონის ამაღლება, ხოლო სასწავლო პროცესის ამოცანას ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში თითოეული მოქალაქის როლის გათვითცნობიერება წარმოადგენს.

ცენტრის ლექტორებს (ტრენერებს) ეროვნული უშიშროების კუთხით გააჩნიათ მრავალწლიანი როგორც პრაქტიკული ისე სამეცნიერო საქმიანობის გამოცდილება.

განვლილ პერიოდში ცენტრის მიერ ეროვნული და კორპორაციული უსაფრთხოების კუთხით ჩატარებული იქნა, როგორც ტრენინგი, ასევე საჯარო ლექციები თბილისსა და გორში. ცენტრმა აქტიური მონაწილეობა მიიღო სატელევიზიო-ანალიტიკურ გადაცემებში, რომელშიაც უცხო ქვეყნების მხრიდან საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების დამაზიანებელ სადაზვერვო ინტერესებზე დაქმედებებზე იყო საუბარი.

გაფორმდა მემორანდუმები სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებთან. 2017 წლის აპრილ-მაისში სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების, მაგისტრანტების და დოქტორანტების მონაწილეობით წარმატებით განხორციელდა სტაჟირების პროგრამა - „ეროვნული და კორპორაციული უსაფრთხოება“. პროგრამის დასრულე-

ბის შემდგომ მონაწილეებს გადაეცათ სტაჟირების დამა-  
დასტურებელი სერთიფიკატი.

2017 წლის მაისში ჩატარდა სამეცნიერო-  
პრაქტიკული კონფერენცია - „ეროვნული და კორპორა-  
ციული უსაფრთხოება“, რომლის მონაწილეებსაც გადაე-  
ცათ სათანადო სერთიფიკატები.

ცენტრის მიერ მომზადებულია პროგრამები, რომ-  
ლებიც როგორც სახელმწიფო მოხელეების, ისე კორპო-  
რაციულ სექტორში დასაქმებული პირების, ზოგადად სა-  
ზოგადოების ყველა ფენის ცნობიერების დონის ამაღ-  
ლებას ემსახურება, სახელმწიფოთა მიერ განხორციე-  
ლებული ისეთი ქმედებების მიმართ, როგორცაა: სადაზ-  
ვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობა, კორპორაციუ-  
ლი ჯაშუშობა, პირადი უსაფრთხოება და სხვა.

თანამედროვე საქართველოს წინაშე არსებული  
საფრთხეებიდან და გამოწვევებიდან გამომდინარე აუცი-  
ლებელია ქვეყანაში სამოქალაქო და ბიზნეს ცნობიერების  
ამაღლება სახელმწიფო და კორპორაციული მათ შორის  
პირადი უსაფრთხოების საკითხების შესახებ. დასახული  
სტრატეგიის წარმატებით განხორციელებისთვის უპრიანი  
არის ისეთი სამეცნიერო დარგების ჩამოყალიბება, რო-  
გორცაა დაზვერვა, კონტრდაზვერვა, კორპორაციული  
უსაფრთხოება, რომელთა მიზანი იქნება მოამზადოს სა-  
თანადო კვალიფიკაციის სპეციალისტები და მკვლევა-  
რები. მისცეს მათ სიღრმისეული თეორიული ცოდნა და  
პრაქტიკული უნარ-ჩვევები მოცემული დარგების ეფექ-  
ტიანობის უზრუნველყოფისათვის, არსებული პრობლე-  
მების დამოუკიდებლად გადაჭრის გზით. გააცნოს და შე-  
ასწავლოს მათ დაზვერვის, კონტრდაზვერვის და კორპო-

რაციული უსაფრთხოების სფეროში არსებული უახლესი მიღწევები, ინოვაციური მეთოდები და პრაქტიკა.

დასახული მიზნების განხორციელება შესაძლებელია „ეროვნული და კორპორაციული უსაფრთხოების სასწავლო-კვლევითი ცენტრის“-(NSC) ბაზაზე, რომლის თანამშრომელთა მრავალწლიანი პრაქტიკული, თეორიული და მეცნიერული გამოცდილება იძლევა ამის გარანტიას.

როგორც ყველა ახალ წამოწყებას თან სდევს ხარვეზი, რისგანაც ალბათ არც ჩვენ ვიქნებით დაზღვეული, წინასწარ ვიხდით ბოდიშს. ერთს კი გპირდებით, რომ არასოდეს ვიქნებით დამოკიდებული უცხო სახელმწიფოთა საგრანტო პროგრამებზე და ყოველთვის გვექნება საქართველოს ერთგული მოქალაქეების თანადგომის იმედი.

მინდა მაღლობა მოვუხადო საერთაშორისო „კანონმდებლობით ადამიანის უფლებათა დაცვის და პენიტენციალური სისტემის რეფორმის ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტს ემზარ საბანაძეს, რომელმაც როგორც ცენტრის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა და სპონსორმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, ცენტრის მიერ განხორციელებული ღონისძიებების ორგანიზებაში, მათ შორის აღნიშნული კრებულის გამოცემაში.

## სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობა

**თენგიზ მარჯანიშვილი**  
საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი-ადვოკატი  
**ემზარ საბანაძე**

საერთაშორისო კანონმდებლობით ადამიანის უფლებათა დაცვის და პენიტენციალური სისტემის რეფორმის ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტი

**თაკო შვეარდნაძე**  
საერთაშორისო კანონმდებლობით ადამიანის უფლებათა დაცვის და პენიტენციალური სისტემის რეფორმის ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტის თანაშემწე

**სახელმწიფოსა და კორპორაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ზოგად სამართლებლივი მიმოხილვა.**

კაცობრიობა მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების პროგრესით აშკარად წინ წავიდა, მან შექმნა სხვა-დასხვა ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის უნიკალური მექანიზმები, მრავალჯერ დაფიქსირდა სხვადასხვა სფეროში წინააღმდეგობათა დაძლევის მცდელობა, მსოფლიო მასშტაბით დემოკრატიის, თავისუფლებისა და მშვიდობისათვის არაერთი ღონისძიების ორგანიზება. მიუხედავად ამისა სამწუხაროდ, ერთი ქვეყნის მიერ სხვა ქვეყნების წინააღმდეგ მიმართულ მტრულ ქმედებებს, სხვადასხვა მოგონილი თუ უმნიშვნელო საბაბით (რომელიც სურვილის შემთხვევაში



აუცილებლად მოინახება) ჯერ კიდევ აქვს ადგილი.

კვლავ ვხვდებით ერთი ქვეყნის მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიის მიტაცების, მისი სუვერენული უფლებების ხელყოფის, ეკონომიკური, მატერიალური და სულიერი ინტერესების შეზღავნების ფაქტებს. ამ კუთხით საქართველო, უცხო სახელმწიფოების მხრიდან მნიშვნელოვანი ზეგავლენის ობიექტს წარმოადგენდა და წარმოადგენს დღესაც.

უნდა გვახსოვდეს, რომ მსოფლიოში არ მოიპოვება არცერთი ქვეყანა, რომელიც ჩვენს ინტერესებს საკუთარზე მაღლა დააყენებს, რაგინდ მეგობრულად არ უნდა იყოს განწყობილი ჩვენი სახელმწიფოს მიმართ. ამდენად, ქვეყნის ინტერესების დაცვა პირველ რიგში, სახელმწიფოს, საქართველოს მოსახლეობის უპირველესი ამოცანაა და ჩვენ თავს ჩვენვე უნდა მოვუაროთ. ამავე დროს, რათქმაუნდა უნდა ვეძებოთ მოკავშირეები და გავამყაროთ ურთიერთობები მეგობრებთან.

რამდენად საპატიო და ყოვლისმომცველია ქვეყნის დამოუკიდებულების, მისი სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების დაცვისთვის სახელმწიფოს მიერ განეული საქმიანობა (იგულისხმება საკანონმდებლო ბაზის შექმნა, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა და სხვა), იმდენად მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ამ საქმიანობაში კანონიერებისა და დემოკრატიული ფასეულობების, საერთაშორისო კონვენციებით ნაკისრი ვალდებულებების განუყრელად დაცვას და კანონით მინიჭებული უფლებების სწორად განხორციელებას. რაც არ უნდა დიდი ფასეულობების დაცვას ემსახურებოდეს ესა თუ ის უწყება (ქვეყნის უსაფრთხოება უდიდესი

პასუხისგებლობა და ვალდებულება), თუ მისი პრაქტიკული საქმიანობა, ზუსტად კანონით დადგენილი წესებით არ ხორციელდება, მისი საბოლოო შედეგები იქნება არა სიკეთის მომტანი, არამედ უდიდეს ზიანს მიაყენებს თავად სახელმწიფოს, მის სიძლიერეს და სუვერენიტეტს. ამის ნათელი მაგალითი იყო 1937 წელს საბჭოთა კავშირში ჩატარებული მასობრივი წმენდა.

სამწუხაროდ ჩვენი სამშობლო, საქართველოც, უახლოეს პერიოდში (მთელი 9 წელი) არა იმ მაშტაბით, მაგრამ მაინც ვერ გადაურჩა „ნათელი მიზნის“ მისაღწევად ასეთი ხერხებით და საკმარისი მტკიცებულებების (მხოლოდ აღიარების) არ არსებობის პირობებში ადამიანის პასუხისგებაში მიცემას და გასამართლებას, უკანონოდ ქონების ჩამორთმევას, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მოთავსებულ პირთა მიმართ არაადამიანურ მოპყრობას და წამებას. ქვეყანა, თუ იგი აღჭურვილია სახელმწიფოებრივი ნიშნების ყველა ატრიბუტით, საზოგადოების დიდი კონსენსუსის საფუძველზე ქმნის კანონს, კანონთა „დედას“, ქვეყნის უზენაეს, ძირითად კანონს-კონსტიტუციას. მასში გადმოცემულია, ერის დამოკიდებულება ქვეყნის პოლიტიკური მოწყობის, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის, დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილების, ეკონომიკური თავისუფლების, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს, მის საყოველთაოდ აღიარებული უფლებათა და თავისუფლებათა, სახელმწიფოს დამოუკიდებლობის განმტკიცებასა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები. კონსტიტუციის მე-2 მუხლით საქართველოს ტერიტორია

განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფო საზღვრების ხელშეუხებლობა დადასტურებულია საქართველოს კონსტიტუციით და კანონებით, აღიარებულია სახელმწიფოთა მსოფლიო თანამეგობრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. კონსტიტუციის მე-5 მუხლში მითითებულია:

1) საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში.

2) ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლობის მეშვეობით.

3) არავის არ აქვს უფლება მიითვისოს ან უკანონოდ მოიპოვოს ხელისუფლება.

4) სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ 2004-2012 წლებში, საქართველოში ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების უხეშ დარღვევებს, კონსტიტუციური მოთხოვნების, პიროვნების სიცოცხლის, საკუთრების დაცვისა და სხვა ძირითადი უფლებების ფეხქვეშ გათელვის შემთხვევებს. ყველას ახსოვს პარლამენტის ერთ-ერთ სესიაზე საქართველოს იმჟამინდელი პრეზიდენტის სიტყვები: „არავითარი ტოლერანტობა დამნაშავეებს, ყველანი ციხეში, დამნაშავეების მიმართ განხორციელებული ძალადობისას ხელი არ ავიკანკალდეთ“. პარლამენტში არც პო-

ზიციიდან და არც ოპოზიციიდან არ აღმოჩნდა არცერთი დეპუტატი, რომ ეთქვა პრეზიდენტისთვის: თქვენ უხეშად არღვევთ კონსტიტუციას, რადგან ასეთი აზრის გადმოცემა პრეზიდენტისგან შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ საომარ ან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების დროს გამოცემული დეკრეტით და პრეზიდენტს იგი შეუძლია 24 საათში შეიტანოს პარლამენტში დასამტკიცებლად. ამის ნაცვლად პრეზიდენტის ეს ყოვლად უკანონო გამოსვლა (რომელიც ძველი ეგვიპტის ფარაონების სიტყვების ზუსტი ანარეკლი იყო) სახელმძღვანელოდ მიიღო ყველა სახელმწიფო უწყებამ და უფრო მეტიც, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ თავის ხელქვეითებს ხელმძღვანელი მითითებები მისცა მისი განუხრელად შესრულებისათვის.

დღეის მდგომარეობით ჯერ კიდევ ახალგაზრდა დამოუკიდებელი საქართველო, მაქსიმუმ ძალისხმევას იჩენს შეინარჩუნოს და განამტკიცოს მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებულება და სუვერენიტეტი.

დამოუკიდებლობის განმტკიცების გზაზე ბევრი დაბრკოლება და წინააღმდეგობებია, როგორც ეკონომიკური, ასევე რთული საერთაშორისო ვითარების დაძლევის კუთხით.

ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის გამო ძალზე დიდია მტრულად განწყობილი ქვეყნების ინტერესი, რათა კიდევ უფრო დაასუსტონ ჩვენი ქვეყანა. ამ მიზნებისათვის გამოიყენონ, როგორც საგარეო ზემოქმედების ბერკეტები, ასევე შინაური ე.წ. მუხუთე კოლონის წარმომადგენლები. როგორც განვლილმა 26 წელმა

აჩვენა ისინი მზად არიან დიდი მონდომებით განახორციელონ ძირგამოთხრილი საქმიანობა, ქვეყანაზე მიყენებული ზიანი გაამართლონ დემოკრატიისა და სხვა მაღალი ზნეობრივი იდეალების დამკვიდრებისათვის ბრძოლის მოტივით.

მიუხედავად ქართული სპეცსამსახურების პატრიოტული დამოკიდებულებისა, მათი დაუღალავი შრომისა, ვერ მოხერხდა თავიდან აგვეცილებინა ქვეყანაში მომხდარი ბევრი ტრაგიკული მოვლენა. ეს არ არის მხოლოდ ძალოვანი სტრუქტურების არასათანადო მუშაობის ბრალი, არამედ იგი მთელი საზოგადოების, ხალხის, არაადექვატური ქცევის შედეგია.

1991-1992 წლების სახელმწიფო გადატრიალების დროს თბილისის ომი მიმდინარეობდა მხოლოდ ერთ, რუსთაველის პროსპექტზე, მაშინდელი უზენაესი საბჭოს წინ, ხოლო თბილისის სხვა ქუჩებში და უბნებში ცხოვრება ჩვეულებრივ გრძელდებოდა. ომი და სხვა ტრაგიკული მოვლენები უცებ, სპონტანურად არ იწყება, მას წინ უძღვის მთელი რიგი მოსამზადებელი უკანონო მოქმედებათა კასკადი. განუწყვეტლივ მიმდინარეობს მოსახლეობის შეცდომაში შეყვანისათვის განწყობების შექმნა, სამართალდამცავი ორგანოების დემორალიზაცია, მათი მოქმედების ეფექტურობის შესუსტება, ლოკალური სისტემატიური კანონდარღვევები (ქუჩების გადაკეტვა, სახელმწიფო დანესებულებათა პიკეტირება და ა.შ.). სიტუაციის ამგვარი გამძაფრება საბოლოოდ ქმნის „რევოლუციურ განწყობებს“. ასეთ ვითარებაში საზოგადოების უმოქმედობა ლოზუნგით: „ეს ჩვენი საქმე არაა“ პირდა-

პირ ხელს უწყობს მტრული ძალების, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის საწინააღმდეგო ქმედებებს.

2012 წელს ჩატარებული პარლამენტის არჩევნები მართლაც, რომ ძალადობით ხელისუფლების შეცვლის განზრახვაზე ხელის აღების შესანიშნავი ნიმუში იყო. არჩევნებიდან დღემდე მიუხედავად ბევრი საკითხის გადანაცვების გარეშე დატოვებისა, უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლისა, ქვეყანაში ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლებს ადგილი არ ჰქონია, თუმცა არაერთხელ იყო მცდელობა ხალხი ქუჩაში გამოეყვანათ, შეექმნათ არეულობა, განეხორციელებინათ სხვა უკანონო ქმედებები.

აქედან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ თუ ხელისუფლება, მისი სათანადო ორგანოები (სადაზვერვო, კონტრსადაზვერვო, პოლიციური, პროკურატურის და სასამართლოს სტრუქტურები) მოქმედებენ კანონმდებლობის დაცვით, იცავენ ადამიანის, საზოგადოების ინტერესებს, სახელმწიფოში მინიმუმამდე არის დასული სხვადასხვა ძალების წაქეზებით საზოგადოების მანიპულირების შესაძლებლობა.

Member of Georgian Bar Association-Attorney **TENGIZ MARJANISHVILI**

BY THE INTERNATIONAL LEGISLATION NATIONAL ASSOCIATION OF THE HUMAN RIGHTS DEFENSE AND PENITENTIALS SYSTEM REFORMS PRESIDENT **EMZAR SABANADZE**

BY THE INTERNATIONAL LEGISLATION NATIONAL ASSOCIATION OF THE HUMAN RIGHTS DEFENSE AND

PENITENTIALS SYSTEM REFORMS ASSISTANT TO THE  
PRESIDENT TAMAR SHEVARDNADZE

**General legislative review of Georgian  
legislation to ensure state and corporate security**

Summery

If the authorities, its relevant authorities (intelligence, counter-intelligence, police, prosecution and court structures) act in accordance with the legislation, protect the interests of the human and the public, the ability to manipulate the society by encouraging the different forces.

## სალომე გუმბერიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის საჯარო მმართველობის დოქტორანტურის III კურსი

### კიბერსივრცე როგორც სადაზვერვო საქმიანობის მნიშვნელოვანი ობიექტი

უძველესი დროიდან სახელმწიფოები სადაზვერვო სამსახურების მეშვეობით, საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ და მოწინააღმდეგე ქვეყნის ინტერესების დასაზიანებლად საქმიანობენ.

„ცივი ომის“ პერიოდში საერთაშორისო ასპარაზზე დომინირებისთვის მებრძოლი ორი ძლიერი სახელმწიფო ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი ერთმანეთის მიმართ მიზანმიმართულად ქმნიდნენ სადაზვერვო ხასიათის საინფორმაციო ვაკუუმს.

შესაბამისად დღის წესრიგში დადგა ტექნოლოგიური დაზვერვის მასშტაბების გაზრდის აუცილებლობა და საიდუმლოების გრიფის ქვეშ სათანადო სამეცნიერო პროგრამებზე მუშაობის გაძლიერება. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ „ცივი ომის“ პერიოდში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა პირველი კომპიუტერი სწორედ სადაზვერვო მიზნებისათვის შექმ-



ნა.

ტექნოლოგიური პროგრესის ფონზე კომპიუტერმა და ინტერნეტ სივრცემ სადაზვერვო საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა, მათი გამოყენებით შესაძლებელია როგორც სადაზვერვო ხასიათის გადაბირების, ისე სადაზვერვო ხასიათის ინფორმაციის მოპოვებისა და ურთიერთგაცვლის, ეგრეთწოდებული ხავერდოვანი რევოლუციების ორგანიზებისათვის მასშტაბურობით და სისწრაფით გამორჩეული საზოგადოებრივი აზრის მობილიზება.

დღეის მდგომარეობით მსოფლიოში არსებული ყველა სახელმწიფოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან თავსატეხს კიბერუშიშროების უზრუნველყოფა წარმოადგენს.

მეოცე საუკუნის ბოლოს მსოფლიოში დაიწყო ციფრული ინფორმაციის ბუმი. თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკის სწრაფი განვითარების, ელექტრონული საკომუნიკაციო არხების, გლობალური და კორპორატიული კომპიუტერული ქსელების შექმნისა და განვითარების შედეგად დღეს ფაქტობრივად ინფორმაციის ძირითადი მატარებელი გახდა ელექტრონული სიგნალი.

ციფრული სახით წარმოდგენილი ინფორმაცია თავისუფლად მოძრაობს მთელს მსოფლიოში. შესაძლებელია

ამ ინფორმაციის გადაცემა მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან წამების განმავლობაში. თანამედროვე კომპიუტერული სისტემები და ინფორმაციული ტექნოლოგიები, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ სწრაფად დავამუშავოთ უზარმაზარი ინფორმაციული ნაკადები, ფართოდ ინერგება მართვის ნებისმიერ დონეზე, კერძო ფირმიდან დანწყებული და სახელმწიფო სტრუქტურებამდე დამთავრებული.

მრავალი სახის პერსონალური, კომერციული, სახელმწიფო მნიშვნელობის სრულიად საიდუმლო, საიდუმლო და სხვა სახის ინფორმაცია ინახება კომპიუტერულ სისტემებში, სულ უფრო მეტი სამუშაო ხორციელდება კომპიუტერული სისტემების გამოყენებით.

სადაზვერვო საქმიანობისათვისაც ერთ–ერთ მნიშვნელოვან ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ინფორმაციული უზრუნველყოფა. საიდუმლო ინფორმაციაზე გამარტივებული წვდომა, სათანადო დამუშავება და გამოყენება პირდაპირ უკავშირდება დაზვერვას დაქვემდებარებულ სახელმწიფოს ეროვნულ უსაფრთხოებაზე ზემოქმედებას, მზვერავი სახელმწიფოსათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ინტერესების განხორციელებას.

ევოლუციური პროცესების, ტექნოლოგიური პროგ-

რესის კვალდაკვალ, გაიზარდა სახელმწიფოს განვითარების პროცესებზე დამაზიანებლად მოქმედი ინფორმაციის გაუონვის ალბათობა, სახელმწიფოები ახალი გამოწვევების წინაშე დადგნენ. გაჩნდა ინფორმაციული უსაფრთხოების ახალი მექანიზმების შემუშავების საჭიროება, ვინაიდან ქვეყნის განვითარების პერსპექტივა გარკვეულწილად დაკავშირებულია მისი სპეციალური სამსახურების საქმიანობაზე, შესაბამისად დამოკიდებულია აგენტურული აპარატის მოქნილობაზე, რომელთა ერთ-ერთ უპირველეს მოვალეობას სათანადო ინფორმაციული უზრუნველყოფა წარმოადგენს.

სადაზვერვო საქმიანობაში ინფორმაციული უზრუნველყოფის ღონისძიებები, როგორც სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დახურული, ისე საჯარო, ღია ინფორმაციული წყაროების გამოყენებით ხორციელდება. ყოველივე კი იმას ნიშნავს, რომ მზვერავის მიერ მოპოვებული როგორც საიდუმლო, ისე საჯარო ინფორმაცია შესაძლოა გამოყენებული იქნას დაზვერვას დაქვემდებარებული ქვეყნის ეროვნულ უშიშროებაზე დამაზიანებელი ზემოქმედების ორგანიზებისათვის.

სადაზვერვო საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან

დარგს წარმოადგენს რადიო-ელექტრონული დაზვერვა, რომლის ერთ-ერთ მიმართულებად კიბერშეტევები და კიბერომები შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომლის ფარგლებში გაზრდილია ინფორმაციის მოპოვებისა და დაზვერვის ობიექტი სახელმწიფოს ინტერესების საზიანოდ მისი გამოყენება. ამ კუთხით სადაზვერვო ქოლგის ქვეშ დისტანციურად „მოღვაწეობენ“: რადიოსადგურები, სატელური თანამგზავრები, მფრინავი, მცურავი ან სხვა საშუალებები, რომელთა მიერ მოპოვებული და დამუშავებული მონაცემებით მზვერავ ქვეყანას ექმნება ხელსაყრელი პირობები შესაბამისი სადაზვერვო აქციების დასაგეგმად და განსახორციელებლად.

კიბერსივრცეს, სადაზვერვო სამსახურები პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური, სხვა მიზნების მისაღწევად იყენებენ. რაც შეეხება კიბერსაფრთხეს როგორც სამხედრო საფრთხეს ამ შემთხვევაში კიბერტერორიზმის სცენარებით განვითარებულ მოვლენებს შეიძლება შედეგად ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვეს, მატერიალური დანაკარგი და უამრავი სხვა პრობლემა. ყველა ის ამოცანა, რომელიც კლასიკურად ყოველთვის დაზვერვის სამსახურისთვის იყო მნიშვნელოვანი, დღეს უფრო იაფად და ეფექტურად არის რეალი-

ზებუღი. ამ ყველაფერს კი გააზრება, ანალიზი, ცოდნა და კომპეტენცია ესაჭიროება.

ექსპერტების დასკვნებზე დაყრდნობით კიბერსიფრცე პერსპექტივაში კიღვე უფრო მასშტაბური გახდება, გაიზრდება სახელმწიფო სტრუქტურების დამოკიდებულება ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე, რაც განაპირობებს ახალი რისკებისა და საფრთხეების წარმოქმნას. სწორედ აქედან გამომდინარე აუცილებელია კიბერუსაფრთხოების ისეთი მოქნილი მექანიზმების შექმნა, რომლებიც ეფექტურად უპასუხებს ახლად წარმოქმნილ გამოწვევებს.

კიბერუშიშროების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს აგრეთვე ახალი კიბერშეტევისადმი ინფორმაციული სისტემების მდგრადობის ამაღლების მიზნით პრევენციული ღონისძებების შემუშავება და გატარება.

დღესდღეობით ქვეყნის ინფორმაციულ ინფრასტრუქტურაში შემავალი პროგრამულ-ტექნიკური ბაზა პრაქტიკულად მთლიანად სხვა ქვეყნების მიერ გამოშვებული პროდუქციით ყალიბდება. იგი ყოველგვარი სპეცშემოწმების და სერტიფიცირების გარეშე გამოიყენება ყველა ღონის ინფორმაციულ სისტემაში, სახელმწიფო მართვის ღონის ჩათვლით. ყოველივე უცხო სახელმწიფოების სადაზ-

ვერვო აქტივობების ხელშემწყობ გარემოებას წარმოადგენს.

დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნული უშიშროებისა და მისი ძირითადი კომპონენტების კრიტერიუმების (ინდიკატორების, მაჩვენებლების) სწორად განსაზღვრის საკითხს. უშიშროების პარამეტრების დამუშავების აქტუალურობა განპირობებულია ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების დაცვისა და განხორციელების პროცესში შექმნილი მდგომარეობის შეფასების აუცილებლობით.

სასურველია, რომ საქართველოს სახელმწიფოს სტრატეგიულ მიზნად უნდა იქცეს, საინფორმაციო პოლიტიკის, ღია საინფორმაციო საზოგადოების განვითარების პროცესის ხელშემწყობა, საინფორმაციო პოლიტიკის რეალიზაციის პირობების შექმნასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა. უმნიშვნელოვანესი თემაა სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება, რათა მოქალაქეს შეეძლოს საზოგადოების დონეზე მაინც კომპიუტერში პირადი მონაცემების დაცვა კიბერშეტევისაგან. თითოეული მოქალაქე, საწარმო თუ საჯარო დაწესებულება ვალდებულია ინდივიდუალურად უზრუნველყოს მის მფლობელობასა და განკარგულებაში არსებული ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოება.

აღნიშნული სისტემების მფლობელებს და უშუალოდ მომხმარებლებს უნდა შეეძლოთ ყველანაირი ზომის მიღება მათი უსაფრთხო ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

ამრიგად შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი:

1. სახელმწიფო საინფორმაციო პოლიტიკის გრძელვადიან სტრატეგიულ მიზნად უნდა იქცეს საქართველოში ღია საინფორმაციო საზოგადოების განვითარების პროცესის სახელმწიფო ინტერესებთან შესაბამისობაში მოყვანისათვის ხელის შეწყობა, რაც მსოფლიო თანამეგობრობის განვითარების გლობალური ტენდენციების გათვალისწინებით აუცილებლობას წარმოადგენს მისი თანამედროვეობის შესატყვისი სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური განვითარებისათვის, პოლიტიკური მოდერნიზაციის პროცესების სრულყოფისათვის.

2. საქართველოს ხელისუფლების მიზანი უნდა იყოს ინფორმაციული უშიშროების ისეთი სისტემის შექმნა, რომლის დროსაც ნებისმიერი კიბერშეტევის საზიანო შედეგები მინიმუმამდე იქნება შემცირებული და ასეთი შეტევის შემდეგ უმოკლეს დროში გახდება შესაძლებელი ინფორმაციული ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების სრული აღდგენა.

3. აუცილებელია გაანალიზდეს რამდენად არის დამოკიდებული სხვადასხვა ინფრასტრუქტურა უცხო სახელმწიფოთა ინფორმაციულ სისტემებზე, მათი მხრიდან სადაზვერვო ქმედებების თავიდან აცილების მიზნით.

4. აუცილებელია მეცნიერულად გაანალიზდეს 2008 წლის აგვისტოს ომის პირობებში მონინალმდეგემ რამდენად სრულად გამოიყენა თავისი შესაძლებლობები.

**Salome gumberidze**

Georgian Technical university Faculty of Business-technologies,  
Public Administration 3rd year of doctorate course

**Cyberspace, as a principal object of a secret  
service work**

Summery

In the light of technological progress, computer and internet space has taken an important place in the field of secret service work. By use of above mentioned elements, it is possible to mobilize public opinion related to secret service characterized persuasion, as well as procurement of secret service information exchange, necessary for so-called velvet revolution which is wide-scaled and speedy when it comes to public opinion. as of today cyber-security is one of the most crucial puzzles of all existing countries in the world



კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტი

## არასწორი საკადრო პოლიტიკა - საფრთხე სახელმწიფოს განვითარებისათვის

უახლესი ისტორიის ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოს საკადრო პოლიტიკაში გატარებული ცვლილებები დროთა განმავლობაში იცვლიდა მხოლოდ ფორმას და თანამდებობის პირებს, ძირითადად თანამდებობებზე სახელმწიფო მოხელეები ინიშნებოდნენ არა პროფესიონალიზმისა და შესაფერისობის მიხედვით, არამედ პარტიული კუთვნილებისა და გარიგებების თანახმად. შესაბამისად შედეგიც ყოველთვის საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების საზიანო დგებოდა. დამოუკიდებელი ქვეყანა არაერთხელ დადგა, სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური დესტაბილიზაციის საფრთხის წინაშე, რაც ორისისხლიანი და „მშვიდობიანი“ რევოლუციებით, ცენტრალურ და რეგიონალურ ხელისუფლებებს შორის საკანონმდებლო ბრძოლითა და საომარი მოქმედებების ინსპირირებით, რუსეთის ფედერაციასთან ომით დასრულდა. უახლეს ისტორიაში კი 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ძალადობრივად დაიმხო და გასაბჭოვდა.

არ შეიძლება არ გავიხსენოთ პირველი რესპუბლიკის მეთაურის ნოე ჟორდანიას მოგონებები, რომელშიაც ის აღიარებდა, რომ კადრების სიმცირის გამო, საქართველოს

დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ, თანამდებობებზე ინიშნებოდნენ ისეთი პირები, რომლებიც ხელისუფლებას არ ემორჩილებოდნენ. არასწორად შერჩეული, თანამდებობებზე დანიშნული კადრები სახელმწიფო ქონებას ანიავებდნენ და მრავალი სახის ეკონომიკური ხასიათის დანაშაულს ჩადიოდნენ. რესპუბლიკის მთავრობა სახელმწიფო ქონების განიავების ფაქტებისა და დამნაშავე პირების გამოვლენის მიზნით ახორციელებდა ღონისძიებებს, რაც დამნაშავე პირების დაკავებული თანამდებობებიდან განთავისუფლებისა და ზოგიერთ შემთხვევაში დაპატიმრების საფუძველი ხდებოდა. გამოთავისუფლებულ თანამდებობებზე კვლავ დანაშაულის ჩამდენი, ახალი სახელმწიფო მოხელეების დანიშვნა ხდებოდა. შემდგომში ნოე უორდანია აღიარებდა: „ვნიშნავდი რევიზიებს, მაგრამ არა გამოდიოდა რა. ერთი გამფლანგველის ალაგს იჭერდა ასეთივე,“ ამასვე ადასტურებს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული სტატია, სადაც ვკითხულობთ: „ზოგიერთი მილიციის უფროსები განაგრძობენ სამსახურში, მილიციის უფროსს მილიციელად, თუ სხვა თანამდებობებზე ისეთ პირთა მიღებას, რომლებიც სხვაგან მსახურობდნენ და სხვადასხვა დანაშაულობათა გამო დათხოვნილ იყვნენ სამსახურიდან“.

ფაქტიურად საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში საღაზვერვო შეღწევალობის ორგანიზებისათვის, მასობრივი კორუფციის ინსპირირების წინაპირობა ხელისუფლების არასწორი საკადრო პოლიტიკა გახდა. შედეგაც დადგა, გასაბჭოებამდე საქართველოს დემოკრატიული

რესპუბლიკის ხელისუფლება ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო არენაზე კომპრომეტირებული იყო. 1919 წლის აპრილში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ამერიკის შეერთებული შტატების საკონსულოს მიერ საკუთარი ხელისუფლებისადმი გადაგზავნილი სადაზვერვო ხასიათის ანგარიშში საქართველოს რესპუბლიკა „ძალაგამოცლილ“ და „კორუფციის კერად“ მოიხსენიება.

ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატო) საკადრო კომპლექტაციასთან მიმართებაში ზოგადად მიმოვიხილოთ **2003-2012 წლების საკადრო პოლიტიკა საქართველოს თავდაცვის სექტორში.**

ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციას გააჩნია სამოქალაქო და სამხედრო სტრუქტურა, რომლის საქმიანობაც მოიცავს პოლიტიკურ და სამხედრო ასპექტებს, ისინი გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს-ჩრდილო ატლანტიკურ საბჭოს ეხმარებიან. „ნატო“-ს გენერალური მდივანი წარმოადგენს საერთაშორისო სამსახურს, მაგრამ ადმინისტრაციული თვალსაზრისით, არის საერთაშორისო სამსახურის წევრი. მას გააჩნია პირადი ოფისი, რომელშიაც შედიან დირექტორი, მომუშავე პერსონალი, გენერალური მდივნის მოდგილე, სამართლებრივი საკითხების მრჩეველი და პოლიტიკის დაგეგმარების განყოფილება. საკადრო ორგანიზება მყარ პროფესიონალიზმს ემყარება.

საქართველოს სამხედრო სამსახურისათვის დამახასიათებელი საკადრო პოლიტიკა 2007 წლის მონაცემების მიხედვით ასე გამოიყურება. სამხედრო ქვედანაყოფში ახლად

დანიშნული მეთაური, როგორც წესი, თანამდებობიდან ათავისუფლებს ქვედანაყოფის ნებისმიერი რგოლის ხელმძღვანელს ყოველგვარი მიზეზისა და სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. ქვედანაყოფის ხელმძღვანელი თანამდებობების დაკომპლექტებას ახდენს საკუთარი ნაცნობ-მეგობრების ხარჯზე, რომელთა განათლება და გამოცდილება ხშირ შემთხვევაში არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. მაგალითისთვის განვიხილოთ არსებული მდგომარეობა სამხედრო განათლების თვალსაზრისით: გენერალური შტაბის უფროსი - აშშ სამეთაურო კოლეჯი, ბატალიონის მეთაურის დონე; გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე - მხოლოდ საბჭოთა სამხედრო სასწავლებელი; J1-ის უფროსი - სამხედრო განათლება არ გააჩნია; J2-ის უფროსი - თურქეთის რესპუბლიკაში საღაზვერვო ასეულის დონის განათლება, ისე რომ მანამდე არავითარი სამხედრო განათლება არ ჰქონია; J3-ის უფროსი - აშშ სამეთაურო კოლეჯი, ბატალიონის მეთაურის დონე; J4-ის უფროსი-ფინანსისტი; J5-ის უფროსი-არავითარი სამხედრო განათლება, თუ არ ჩავთვლით მარშალის კოლეჯის კურსებს; J7-ის უფროსი-საბჭოთა უმცროს მეთაურთა სასწავლებელი; განათლების დეპარტამენტის უფროსი-საშუალო განათლება.

განხილულის ფონზე საყურადღებოა სამხედრო განათლების სისტემის სრული ნგრევის ორგანიზების საკითხი, როდესაც რეორგანიზაციის შედეგად თავდაცვის ეროვნულმა აკადემიამ მხოლოდ გადამზადების კურსების სახე მიიღო. არ ყალიბდება „NATO“-ს სტანდარტის სამხედრო

ხელმძღვანელობა. არ არსებობს სამხედრო კარიერის მენეჯმენტი-ოფიცერი თანამდებობას იცვლის არა თავისი გამოცდილების ან განათლების მიხედვით, არამედ მინისტრისა და გენერალური შტაბის უფროსის წრესთან სიახლოვის მიხედვით. სააკაშვილის მმართველობის პერიოდი გამოირჩეოდა კლანური დაჯგუფებების დაპირისპირებებით. 2005-2012 წლებში სახელმწიფო მმართველობა აგებული იყო ე.წ. „პარტიმონალური პოლიტიკური „ვერტიკალის“ პრინციპზე, სადაც კლანური დაჯგუფების დაპირისპირებას ჰქონდა მაღალი დონე, მათ შორის საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების კუთხითაც.

განხილული პერიოდების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ თითქმის საუკუნოვანი სხვაობის მიუხედავად საქართველოს ინტერესების საზიანო საკადრო ორგანიზებაში ბევრი იდენტური ნიშანი ფიქსირდება, რამაც განგრძობადობის შემთხვევაში არ შეიძლება რომ უარყოფითი ასახვა არ ჰპოვოს სახელმწიფოს ეროვნულ უსაფრთხოებაზე.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვახტანგ მაისაია. „საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები და დეტერმინანტები „ცივი ომის“ შემდგომ (1991-2004). თბილისი 2003
2. ალექსანდრე რონდელი. „საერთაშორისო ურთიერთობები.“ გამომცემლობა „ნეკერი“, 2003.
3. დავით კუხალაშვილი. „საპოლიციო სტრუქტურების და სპეცსამსახურების ოპერატიულ-აგენტურული საქმიანობის ისტორიიდან“. თბილისი 2015 გვ. 46.

4. ნიკა ჩიტაძე. „გეოპოლიტიკა“. გამომცემლობა „უნივერსალი“, 2011.
5. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო - [www.mfa.gov.ge](http://www.mfa.gov.ge)
6. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა - <http://www.nplg.gov.ge> 2007წ .
7. რ.დაუშვილი. „საქართველო და ამერიკის შეერთებულ შტატები 1860-1920-იან წლებში.“ <https://iberiana.wordpress.com>;
8. ტ.ფუტკარაძე. „რუსეთ-საქართველოს ომის რამდენიმე ასპექტისა და არსებული კრიზისიდან გამოსავლის გზებისათვის.“ საქართველოს პარლამენტის ანტიკრიზისული საბჭოს ფორმატით გამართულ სამეც. კონფ-ზე (26.03.09) წაკითხული მოხსენება. (ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი, „ჩემი მისია კავკასიაში“, ქუთაისი, 2002).
9. ნოე ჟორდანიას. „ჩემი წარსული.“ გამომცემლობა „სარანგი.“ თბ.1990.
10. გაზ.„საქართველოს რესპუბლიკა.“ N 277. 5,12.1920.

**Maia Tsasidze**

Caucasus International University International Relations faculty student

## WRONG PERSONNEL POLICY-DANGER FOR THE DEVELOPMENT OF THE STATE

Summery

Almost despite the difference of a century of Georgian interests in the harmful personnel organization is observed of many identical sign, which can not be continuity in the case of, that do not reflect negative on the national security.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების მაგისტრანტი

**„საინფორმაციო ომის“ სადაზვერვო ხასიათი,  
მასთან ბრძოლისა და „ნატოს“ ახალი  
გეოსტრატეგიული ამოცანები**

სადაზვერვო საქმიანობის წარმატების მნიშვნელოვან მსაზღვრელს სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ხასიათის პროპაგანდის ორგანიზების ხარისხი წარმოადგენს. შესაბამისად, პროპაგანდა საინფორმაციო ომის ხელსაყრელი საშუალებაა, რის გამოც სახელმწიფოსთვის მასმედია სადაზვერვო ზეგავლენის ქვეშ მოხვედრის მნიშვნელოვან ობიექტს წარმოადგენს.

მზვერავე სახელმწიფოს წინაშე დასმული ოპერატიულ-აგენტურული და ოპერატიულ-ოპერაციული ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად, საქმიანობის საწყის, მიმდინარე და საბოლოო ფაზაში „საინფორმაციო ომი“ „ჰიბრიდული ომის“ ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ „ჰიბრიდული ომი“ ახალ ტერმინს წარმოადგენს, თუმცა მას პოლიტიკურ ლექსიკონში თვალსაჩინო ადგილი უკავია.

„საინფორმაციო ომში“ ხშირად ინფორმაციულ-პროპაგანდისტულ, ფსიქოლოგიურ და კიბერ-საშუალებებს

აერთიანებენ. ზოგადად, ომი პროპაგანდისა და დებინფორმაციის ელემენტებს შეიცავს, რომლის დროსაც ეკონომიკური ზენოლისა და სპეცდანიშნულების ძალების ფარული გამოყენებაც აქტიურად ხორციელდება. დებინფორმაცია, ცრუ ინფორმაციის გავრცელებას გულისხმობს (ამ მეთოდის გამოყენებას, სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო სამსახურები უძველესი პერიოდიდან იყენებენ. ამ კუთხით გამორჩეული იყო დავით აღმაშენებლის სადაზვერვო სამსახურიც).

XXI-ე საუკუნეში ტექნოლოგიების განვითარებამ, მართალია, ბევრი სიკეთე მოუტანა საზოგადოებას, თუმცა სადაზვერვო საქმიანობის და მისი განხორციელებისათვის საჭირო „საინფორმაციო ომის“ თვალსაზრისით, ბევრ საფრთხის შემცველ მოვლენას, მათ შორის მზვერავი სახელმწიფოსათვის მიუღებელი ხელისუფლებების დამხობას და სასურველით კომპლექტაციას, ე.ი. კონსტიტუციური წყობილების ძალადობრივ რღვევის ირგვლივ ორგანიზებულ საქმიანობას შეუწყო ხელი. ამ პროცესების წარმატება „საინფორმაციო ომის“ ისეთმა მეთოდებმა განსაზღვრეს, როგორცაა: მოსახლეობის სოციალური, აუდიო-ვიდეო, სიტყვიერი, დებინფორმაციული მანიპულაცია.

შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ „საინფორმაციო ომი“ XXI-ე საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საფრთხის შემცველ ძალას წარმოადგენს, რაც შიდა სახელმწიფოებრივი ურთიერთობების გარდა, საერთაშორისო უსაფრთხოებასაც უქმნის დიდ საშიშროებას. გამოთქმული მოსაზრებების გასამყარებლად გამოდგება უახლეს ისტორიაში რუსეთის ფედერაციის მხრიდან „საინფორმაციო



ომის“ ტექნოლოგიების გამოყენება როგორც საქართველოს (2008 წელი), ისე უკრაინის (2015-2016 წლებში) მიმართ.

მოკლედ, მიმოვიხილოთ 2008 წლის ზაფხულში საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სისტემაზე სადაზვერვო ზემოქმედების შედეგები. მოვლენათა ანალიზი იძლევა საშუალებას, დავასკვნათ, რომ საქართველოს, მისმა ჩრდილოელმა მეზობელმა არა მხოლოდ ტრადიციული ხერხებით - ხმელეთიდან, ზღვიდან და ჰაერიდან შეუტია, არამედ მეოთხე, შედარებით ახალი, მაგრამ ყველაზე ეფექტური საინფორმაციო შეტევები, მათ შორის კიბერსივრცეშიც განახორციელა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ანგარიშის თანახმად, რომელიც გამოქვეყნდა 2009 წლის აგვისტოში, რუსეთის მოქალაქეებმა და მათმა მხარდამჭერებმა 2008 წლის 7-16 აგვისტოს ჩათვლით განახორციელეს კოორდინირებული თავდასხმა, რომელმაც მწყობრიდან გამოიყვანა ათამდე მნიშვნელოვანი, მათ შორის: საქართველოს პრეზიდენტის, თავდაცვის მინისტრის, საქართველოს ეროვნული ბანკის და მთავარი საინფორმაციო საშუალებების ვებ-გვერდები, რომელთა სამიზნე ობიექტთა რიცხვი ოპერაციული ზემოქმედების ფარგლებში კიდევ უფრო გაფართოვდა.

გამოდის რომ, კიბერსივრცის დაცვის (მათ შორის საფრთხეზე დროული პროპაგანდისტული რეაგირების) თვალსაზრისით საქართველოს სადაზვერვო და კონტრ-სადაზვერვო სამსახურებმა, სრული კრახი განიცადეს.

მაღალი ალბათობით, ამავე კუთხით მოვლენათა

განვითარების პერსპექტივის საშიშროება კვლავ არსებობს, რომლის ხელსაყრელ პირობას საქართველოსა და უკრაინაში, სადაზვერვო ე.ი. დამაზიანებელი ზემოქმედების ორგანიზებისათვის უცხო სახელმწიფოს მხრიდან „ბუფერული ზონები“ უკვე ჩამოყალიბებულია.

სწორედ აქედან გამომდინარე, დამოუკიდებლობის მოპოვების პირველი დღეებიდან დღემდე საქართველო უცხო სახელმწიფოებთან (სახელმწიფო გაერთიანებებთან) მყარ პარტნიორულ ურთიერთობაზე დამყარებული კავშირების ჩამოყალიბებისაკენ ისწრაფვის.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე საქართველოს მნიშვნელოვან თავსატეხს ეროვნული უსაფრთხოების პროცესის ორგანიზება წარმოადგენს, რაც სახელისუფლებო ცვლილებების მიუხედავად, მნიშვნელოვან წარუმატებლობას განიცდის.

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან უმოკლეს ისტორიულ მონაკვეთში საქართველოს ხელისუფლებების ერთ-ერთ დეკლარირებულ საგარეო პოლიტიკის მთავარ ამოცანას ევროატლანტიკურ სივრცეში გაერთიანება წარმოადგენს. შესაბამისად, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში განვევრიანებისათვის საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკა დაფუძნებულია სტაბილური გარემოს შექმნაზე. აღნიშნული მიმართულებით მყარი კავშირების ორგანიზება, ჩვენი საკვლევი პრობლემის („ჰიბრიდული ომის“ საფრთხის თავიდან აცილება) დადებითად გადაჭრის ხელსაყრელ პირობას წარმოადგენს, რადგან საქართველოს ამ მიმართულებით საკუთარი ტექნიკური საშუალებები და ტექნო-

ლოგიები პრაქტიკულად არ გააჩნია. შესაბამისად „ნატოს“ მეშვეობით საქართველოში „საინფორმაციო ომის“ სათანადო სწავლების და ტექნიკური გადაიარაღების პროცესი აქტიურად მიმდინარეობს, რაც ქვეყნის კონტრდაზვერვითი უზრუნველყოფის ფარგლებში მნიშვნელოვან ხელშემწყობ პირობასაც წარმოადგენს. შესაბამისად, „საინფორმაციო ომი“ აგრესიული მიზნების გარდა თავდაცვით, ანუ კეთილზრახვებსაც შეიცავს.

ევროატლანტიკურ სივრცეში იზრდება ისეთი კონფლიქტების რაოდენობა, რომლებიც „არ ჯდება ომის დასავლურ კატეგორიებში“, რადგან მყარი სადაზვერვო ხასიათის ორგანიზებით ომის ფორმების განძრახ აღრევა ხორციელდება. ამ კუთხით, საყურადღებოა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაკეთებული განმარტებაც ომის ახალ სახეობასთან („ჰიბრიდული ომი“-„რბილ ძალა“) დაკავშირებით. მას ომის ერთგვარ ტაქტიკურ საშუალებას უწოდებენ, რომელიც პროპაგანდისა და დემინფორმაციის ელემენტებს შეიცავს, რომელიც თავის თავში ეკონომიკური ზენოლისა და სპეცდანიშნულების ძალების ფარულ გამოყენებასაც გულისხმობს.

საქართველოსთან მტრულ, აქტიურ სადაზვერვო ზეგავლენით ურთიერთობებში მყოფი სახელმწიფოს-რუსეთის ფედერაცია საკუთარი სტრატეგიული ამოცანების განსახორციელებლად ჰიბრიდული ომის საშუალებებს წლებია აქტიურად იყენებს, რაც ომის ტრადიციული, დასავლური გაგების შერყევის საფუძველი გახდა.

მეტეც, მოვლენების ამგვარმა განვითარებამ აჩვენა

დასავლური ინსტიტუტების მოუმზადებლობა, გაუმკლავდეს ასეთ გამონწვევებს და გააშიშვლა ევროატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების არსებული არქიტექტურის სუსტი მხარეებიც. შესაბამისად, „საინფორმაციო ომის“, როგორც კონფლიქტის ახალი ფორმის აღმოცენებამ ძირეულად დაარღვია უსაფრთხოების არსებული ლანდშაფტი. გაჩნდა უამრავი კითხვა, მათ შორის ამ საფრთხეებისადმი ბრძოლის თვალსაზრისით უსაფრთხოების არსებული ინსტიტუტების უუნარობის შესახებ. აღნიშნული ვითარება „გაფართოებული შეკავების“ პროცესის ორგანიზების ფარგლებში ნატოს გაფართოებასთან დაკავშირებით მიმდინარე დებატებზე საფრთხეებზე დროული და ეფექტური რეაგირების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გავლენის მაინსპირირებელი გარემოება იქნება. ამ კუთხით საყურადღებოა ჟურნალ „ეკონომისტში“ გამოქვეყნებული პუბლიკაცია, რომლის მიხედვითაც: „მსოფლიოს უძლიერესი სამხედრო ალიანსის მთელი სიძლიერე მნიშვნელობას დაკარგავს, თუ მისი წევრები ვერ შეძლებენ შეთანხმებას, როდესაც აგრესორი დანესებულ ზღვარს გადალახავს“.

ჩვენი საკვლევი თემის კუთხით საყურადღებოა „ნატო“-ს ახალი გეოსტრატეგიული ამოცანები, მათ შორის ვარშავის სამიტზე ნატოს მიერ „საინფორმაციო ომის“ ერთგვარ საფრთხედ გამოცხადება. ამასთან ერთად, თანამედროვე ეტაპზე „საინფორმაციო ომი“ განიხილება სამხედრო უსაფრთხოების მთავარ ფაქტორად, რომელსაც სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია ასევე იზიარებს „ახალი ცივი ომის“ პირობებში. ამავე კუთხით, დღეის მდგომარეობით,

სამხედრო-პოლიტიკურ ორგანიზაცია „ნატო“-ში ამოქმედებულია სათანადო გეგმა, რომლის მეშვეობითაც დაგეგმილია ერთობლივი საქმიანობა პარტნიორ ქვეყნებთან და ორგანიზაციებთან, რაც საქართველოს უსაფრთხო გარემოს გაუმჯობესებასთან ასოცირდება.

**Thornike Zedelashvili**

Caucasus international University Faculty of International Relations and International Security

## **The intelligence of the "information of war", the fight against it and the new geostrategic tasks of "NATO"**

### Summery

“Information war” in the information and propaganda, combines cyber and psychological means. It contains elements of propaganda and disinformation, during which actively implemented economic pressure and the special forces covert use. Respectively the “information war” has it intelligence and counter-intelligence purposes. In the events of August 2008 the “Information war” methodology was used actively against Georgia. Research of topic is relevant, because of the high probability of occurrence of the same perspective there is still a danger, whose favorable conditions intelligence - so detrimental impact for the organization of a foreign state to the “buffer zone” has been established.

## დანაშაულებრივი დაჯგუფებები- სადაზვერვო ზეგავლენის ობიექტები

ორგანიზებული დანაშაული კრიმინალური საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე საშიში სახეობაა. ქართული კრიმინოლოგიური ლიტერატურის მიხედვით, ორგანიზებული დანაშაული წარმოადგენს ანტისახელმწიფოებრივ მდგრად სისტემას, რომელიც თავისი ფართომასშტაბიანი დანაშაულებრივი საქმიანობით ხელოვნურად ქმნის უფრო მეტად ხელსაყრელ პირობებს კანონსაწინააღმდეგო მოქმედებების განსახორციელებლად.

თანამედროვე სამყაროში ორგანიზებული დანაშაული იღებს ტრანსნაციონალურ სახეს, რაც სერიოზულ დარტყმას აყენებს სახელმწიფო უსაფრთხოებას.

საქართველოში ორგანიზებული დანაშაული ჩამოყალიბების კუთხით გამორჩეული იყო XX საუკუნის პირველი ნახევარი. ამ პერიოდში საბჭოთა სპეცსამსახურების ინიცირებით შექმნილი და მოქმედი ე.წ. „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტი პირველ ეტაპზე სასჯელის მოხდის ადგილებზე საბჭოთა სისტემის პოლიტიკური ოპოზიციის დათრგუნვის მიზნით შეიქმნა და შესაძლებელია მიზანმიმართულადაც. შემდგომ ეტაპზე იგი თანდათანობით უკვე სასჯელის მოხდის ადგილების გარეთ საზოგადოებაში მნიშვნელოვანი მიზნებისათვის ქურდული იერარქიის, ტრადიციებისა და კანონების მემკვიდრეობით ორგანიზებულ, ძლიერ დანაშაულებ-

რივ დაჯგუფებად ჩამოყალიბდა, სპეცსამსახურების და მილიციის მყარ კონტროლს დაექვემდებარა.

„კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტს გააჩნდა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფებისათვის მახასიათებელი ორგანიზებული იერარქია, ძალადობის ან ძალადობის მუქარის გამოყენების, წევრობის შემლუდვის, არალეგალური ფორმებით შემოსავლების მიღების, მოსახლეობის არალეგალური საქონლით უზრუნველყოფის და სხვა სახის ტენდენციები.

საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ასპარეზიდან გაქრობის მიუხედავად, „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტის არსებობა სადაზვერვო აქტივობების ხელსაყრელ პირობად უნდა მივიჩნიოთ. შესაბამისად ორგანიზებული დანაშაული თავისი ბუნებიდან გამომდინარე საკმაოდ საშიში სახეობაა, ამიტომ არსებითია სახელმწიფოს მხრიდან მკაცრი კონტროლის ფონზე, ამ კუთხით ოპერატიული საქმიანობის სწორად განსაზღვრა, რათა გამოირიცხოს კრიმინალური დაჯგუფებების მიერ ხელისუფლებაზე კონტროლი და სახელმწიფო უშიშროების მოშლა.

ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების აქტიურობის კუთხით საყურადღება საბჭოთა საქართველოში არსებული ინფორმაცია 1921-1923 წლებში. ამ პერიოდისათვის ხელისუფლებაში მოსული იყვნენ ბოლშევიკები, რომლებსაც ტყეში გახიზნული ყაჩაღური დაჯგუფებები დაუპირისპირდნენ. ამავე პერიოდში ყალიბდება პარტიზანული რაზმებიც, რომლებიც ასევე ტყეს აფარებდნენ თავს, ვინა-

იდან ხელისუფლების მონინალმდევეთათვის ყველაზე ხელსაყრელი იყო ფარული ბრძოლა.

1921-1923 წლებში ოცზე მეტი ბანდიტური დაჯგუფება მოქმედებდა. ერთ-ერთი ცნობილი ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფება იყო შაქრო მოსულიშვილის იგივე „გიჟოს“ დაჯგუფება. 1921 წელს მოსულიშვილის დაჯგუფების მეთაური დაიჭირეს, თუმცა იგი გამოიქცა ციხიდან. თავის გადარჩენის მიზნით თანამშრომლობდა ნითლებთან. დღისით კომუნისტი შაქრო მოსულიშვილი სოფელში ტრიალებდა, ხოლო საღამოობით ხალხს ძარცვავდა. ხელისუფლებას უჭირდა ყაჩაღების ადგილ-მდებარეობის და მათი გადაადგილების მარშრუტების დადგენა. 1922 წელს, დანაშაულებრივი დაჯგუფება თავს დაესხა კაჭრეთის მილიციას. ყაჩაღური დაჯგუფებების აქტიურობის შესამცირებლად და დანაშაულებრივი ქმედებების აღსაკვეთად შეიქმნა შეაიარაღებული საგანგებო რაზმები („მფრინავი რაზმები“), ტარდებოდა ოპერატიული ღონისძიებები, კერძოდ ბანდის წევრების ან ამ უკანასკნელთა ახლობლების დადგენა, გადაბირებები, რომელთა მეშეობითაც გადიოდნენ უშუალოდ ბანდის მეთაურების ახლო კავშირებზე, იგებდნენ ორგანიზებული დაჯგუფებების ადგილსამყოფელს. 1923 წელს პოლიტიბუროს განკარგულებით ტყეში გაჭრილებზე მკაცრი აგენტურული მეთვალყურეობა დაწესდა. ხელისუფლება რთული ოპერატიული ვითარების განსამუხტად ასევე იყენებდა ისეთ მექანიზმს, როგორცაა ამნისტია. ყაჩაღებს ამნისტიას პირდებოდნენ, თუკი გასცემდნენ თავიანთ თანამშრომლებს. არსებობდა მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც პერს-



პექტიული ბანდიტები, ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფო სტრუქტურებშიც ირიცხებოდნენ.

გამორჩეულია ბანტიდური ფორმირებების საქმიანობა მეორე მსოფლიო ომის დროს. ამ პერიოდში თავი იჩინა არაერთმა ფორმირებამ, რომლებიც აქტიურად ეწეოდნენ სადაზვერვო საქმიანობასაც. გერმანიის დაზვერვის ორგანიზებით იგვეგებოდა ოპერაციის „შამილი“ განხორციელება, რომლის მიზანსაც საბჭოთა ნავთობგადამამუშავებელ სექტორზე საბოტაჟის ორგანიზების მიზნით გროზნოს ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაზე კონტროლის დამყარება იგვეგებოდა. ამ ოპერაციის წარმატების ორგანიზებისათვის გერმანიის სადაზვერვო სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევდა და სათანადო ღონისძიებებსაც ატარებდა ჩეჩენთა ბანდიტურ დაჯგუფებებთან კონტაქტის დამყარების მიზნით.

ორგანიზებული დანაშაულებრივი ქმედებების კუთხით, საქართველოს უახლეს ისტორიაში, გასული საუკუნის 90-იან წლებში, გამორჩეულია ორგანიზაციის „მხედრიონი“ საქმიანობა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს პირველი პრეზიდენტის და ხელისუფლების ძალადობრივ დამხობაში. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო გადატრიალება უცხო სახელმწიფოთა სადაზვერვო ინტერესში შედიოდა და შედის, შეიძლება დავასკვნათ, რომ მაღალი ალბათობით, ორგანიზაციის ქმედებებში შეინიშნებოდა უცხო სახელმწიფოთა სადაზვერვო ნიშნები. საყურადღებოა საჯარო სივრცეში

გავრცელებული ინფორმაციები, რომლის მიხედვითაც დაჯგუფების წევრების მიერ ხორციელდებოდა ხალხის ძარცვა, თბილისის პოლიციის განყოფილებებზე თავდასხმა, დაკავებულ „მხედრიონელთა“ განთავისუფლების მიზნით. საყურადღებოა, რომ „მხედრიონს“, როგორც საკანონმდებლო ისე აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც ე.წ. ლობიერების უზრუნველყოფი თანამდებობის პირები გააჩნდა. არსებობდა მნიშვნელოვანი მონაცემები „მხედრიონის“ წევრების ტერორისტული აქტებში და მკვლელობების ორგანიზებაში მონაწილეობის შესახებ.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეროვნულ უშიშროებაზე დამანგრეველად მოქმედებს სახელმწიფოში შექმნილი მძიმე ოპერატიული ვითარება, რომლის მაინსპირირებელ გარემოებას სწორედ კრიმინალური ვითარების დაძაბვა წარმოადგენს. სახელმწიფოში კრიმინალური ავტორიტეტები, „კანონიერი ქურდები“, დანაშაულებრივი დაჯგუფებები უცხო ქვეყნების სადაზვერვო ზეგავლენის ობიექტებს წარმოადგენენ. შესაბამისად, ამ მიმართულებებზე ოპერატიული საქმიანობის ფუნქციების მქონე სადაზვერვო, კონტრ-სადაზვერვო და პოლიციური სამსახურების ავენტურულ-ანალიტიკური საქმიანობის ხარისხი სახელმწიფოში ეროვნული უშიშროების ხარისხის განმაპირობებელი მნიშვნელოვანი გარემოებაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „შაქრო მოსულიშვილის დაჯგუფება“. [პროექტის ხელმძღვანელი ომარ თუშურაშვილი, პროექტის კოორდი-

ნატორი დავით ალავერდაშვილი,] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი „თულნი“. <https://issuu.com/name49/docs/tulni>;

2. „მეორე მსოფლიო ომი სტალინმა მოიგო“. <http://13mythsaboutstalin.ge/feed/atom/>;

3. დავით მესხიშვილი. „ორგანიზებული დანაშაულების კრიმინოლოგიური და სისხლის სამართლებრივი დახასიათება საქართველოში“. დისერტაცია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი. თბილისი 2012. <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000603/Meskhishvili%20D.Dis.pdf>;

**Mariam Maghradze**

Caucasus International University

### **Operative situation of organized crime**

#### Summery

The current tense operational situation has destructively negative impact on the national security. The situation is triggered by criminal and illegal activities of so called „ the thieves in Law”, gangs, vandals etc. That are under the observation of foreign counterintelligence offices. Consequently, the quality of intelligence and counterintelligence office’s activities depends and strictly determines of national security.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, მაგისტრატურის II კურსის სტუდენტი

## უცხო ქვეყნების სადაზვერვო საქმიანობის დამაზიანებელი როლი უახლესი ისტორიის საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებაზე

სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობას სახელმწიფოები უძველესი პერიოდიდან ახორციელებენ. ისინი ეროვნული უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით სახელმწიფოსათვის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტებს წარმოადგენენ.

პოლიტიკურ ლექსიკონში ტერმინი „ეროვნული უსაფრთხოება“ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის (1901-1909 წწ) თეოდორ რუზველტის დამსახურებით დაფიქსირდა. მან „1904 წელს აშშ-ს კონგრესს გაუგზავნა მიმართვა, რომელშიც პანამის იმ ტერიტორიების ოკუპირებას, სადაც მომავალში არხი უნდა აშენებულიყო, ასაბუთებდა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებით.

რუზველტის დამსახურებაა, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისიდან აშშ-ის საგარეო პოლიტიკამ უფრო აქტიური ხასიათი მიიღო, ამ ქვეყნის გლობალური პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები პრიორიტეტული გახდა“. რაც შეეხება ეროვნული უსაფრთხოების ცნებას მისი „შინაარსი მოიცავს ერის, როგორც კულტურულ-პოლიტიკური ერთობის ყველა იმ სასიცოცხლო პირობას, რომელიც უზრუნველყოფს მის მდგრად არსებობასა და განვითარებას. ტრადიციულად, ეროვნული უსაფრთხოება გულისხმობდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და მისი შინაგანი პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფას.

ეროვნული უსაფრთხოების სიმყარის ერთ-ერთ მნიშვნელოვან განმაპირობებელს კონტრსადაზვერვო საქმიანობის სწორი განხორციელება წარმოადგენს. ქვეყნის უსაფრთხოების კონტრსადაზვერვო უზრუნველყოფა, საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული უცხო ქვეყნების სადაზვერვო სამსახურებისა და ორგანიზაციების დამაზიანებელი ქმედებების, გეგმების, მიზნების, რეალური და პოტენციური შესაძლებლობების გამოვლენით, ინფორმაციის მოპოვებითა და მისი მყარი ანალიტიკის შედეგად, აგრეთვე საგარეო ხასიათის კონტრდაზვერვითი საქმიანობის მეშვეობით მიიღწევა.

თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფოები სადაზვერვო საქმიანობას ახორციელებენ: პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, სამხედრო და გარემოს დაცვის სფეროებში, შესაბამისად საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახური, სამხედრო-პოლიტიკურ, სამხედრო-ეკონომიკურ და გარემოს დაცვის სფეროებში. რაც შეეხება კონტრდაზვერვით საქმიანობას, იგი სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში საქმიანობის სპეციალურ სახეობას წარმოადგენს, რომლის სამიზნე ობიექტებს უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების, ორგანიზაციების, პირთა ჯგუფებისა და ცალკეულ პირთა საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული სადაზვერვო ან/და ტერორისტული საფრთხეების გამოვლენა-თავიდან აცილება წარმოადგენს. უცხო ქვეყნების სადაზვერვო ორგანიზების თვალსაზრისით საყურადღებოა დამოუკიდებელ საქართველოში განვითარებული დამაზიანებელი პროცესები, რომლის წინაშეც სახელმწიფო, შესაბამისად სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო სამსახურები პრაქტიკულად უძღურნი აღმოჩნდნენ. მოკლედ მიმოვიხილოთ აღნიშნული ვითარება.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში ოპერატიული (პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, სამხედრო) ვითარება გამოირჩეოდა დაძაბულობით. გამოთქმულ მოსაზრებას ადასტურებს ორჯერ კონსტიტუციური წყობილების ძალადობრივი რღვევის ორგანიზება, ცენტრალური ხელისუფლებისადმი რეგიონალური ხელისუფლებების სისტემატიურობით გამორჩეული დაუმორჩილებლობა, ეთნიკური და რელიგიური ხასიათის საომარი კონფლიქტები. ყოველივე იმაზე მიანიშნებს, რომ საქართველო დამოუკიდებლობის პირველივე დღიდან, უცხო სახელმწიფოთა სადაზვერვო ინტერესების გადაკვეთის ტერიტორიასახელმწიფოს წარმოადგენდა. სწორედ, უცხო სახელმწიფოთა კომპლექსური სადაზვერვო საქმიანობის შედეგად მიღებულია საქართველოს ინტერესების დამაზიანებელი შედეგი, გამოხატული, სახელმწიფოს ფაქტობრივ კონტროლს დაუქვემდებარებული ტერიტორიებით.

მიმოვიხილოთ დამდგარი შედეგის მაინსპირირებელი ქმედებების ზოგადი ქრონოლოგია. საბჭოთა საქართველოს პირობებში საკუთარი, დამოუკიდებელი სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო სამსახურების არ არსებობისას 1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკულმა მოვლენებმა მნიშვნელოვანად განაპირობეს საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება, რასაც საბჭოთა კავშირის მემკვიდრის რუსეთის ფედერაციის მხრიდან, სათანადო ანგარიშწორებისათვის, საქართველოს საწინააღმდეგოდ პოლიტიკური, ეკონომიკური ისე სამხედრო მიმართულებით სადაზვერვო ხასიათის ქმედებების დაგეგმვა-განხორციელება მოჰყვა.

პოლიტიკური დაზვერვის კუთხით რუსეთის ფედერაციის დაზვერვის დავალებებს ეთნიკური ოსებით დაკომპლექტებული პოლიტიკური მიზნებით მოქმედი არაფორმალური ორგანიზაციები „ადამონ ნიხასი“ და ეთნიკური აფხა-

ზებით დაკომპლექტებული „აიდგილარა“ ასრულებდნენ. მათი სადაზვერვო მიზნებით გამოყენების შესახებ მოსაზრებას ამყარებს კავშირ-ურთიერთობები რუსეთის ფედერაციის სტრატეგიული ინტერესების თანხვედრილად მოქმედ ისეთ ორგანიზაციებთან, როგორცაა: რუსული „სლავიანსკი დომი“ და სომხური „კრუნკი“. სადაზვერვო მიზნებით მოქმედება დაიწყო გაზეთმა „სოვეტსკაია აფხაზია“, რომელიც ორგანიზაციის „სლავიანსკი დომი“ პროპაგანდისტულ მანქანას წარმოადგენდა. მათი ქმედებების მნიშვნელოვან მიმართულებას დემინფორმაციული ხასიათის სტატიების (მათ შორის რუსი ეროვნების მოქალაქეების მიმართ, ქართველების მიერ ტრეფიკინგის ორგანიზების შესახებ) გამოქვეყნება წარმოადგენდა.

საქართველოს წინააღმდეგ აქტიურად მუშაობდა საბჭოთა კავშირის სამხედრო დაზვერვა. დასახული ამოცანების გადასაწყვეტად, ქალაქ თბილისში დისლოცირებულ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქთან მჭიდრო კავშირში იყო საბჭოთა კავშირის უშიშროების კომიტეტის განსაკუთრებული განყოფილება, რომელიც საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტთან პირველ ეტაპზე კოორდინირებულად მოქმედებდა. კოორდინაციის მოშლა 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების შემდეგ განხორციელდა.

კონტაქტების განწყვეტის მიუხედავად განსაკუთრებული განყოფილება აქტიურ ოპერატიულ-აგენტურულ საქმიანობას საქართველოში დისლოცირებულ საბჭოთა სამხედრო ნაწილებში და დისლოკაციის ადგილების გარემოცვაში ახორციელებდა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ საქართველოში ინსპირებული საომარი მოქმედებების დროს სწორედ რუსეთის სამხედრო შენაერთების დისლოკაციის ადგილების გამოყენებით ხდებოდა მოწინააღმდეგე ძალების იარაღით აღჭურვა.

დამოუკიდებლობის პირველ ეტაპზე ზემოჩამოთვლილი პრობლემების ძირითად მაინსპირირებელ გარემოებას სახელმწიფოს უშიშროების სამსახურის პრაქტიკულად უმოქმედობა განაპირობებდა, რომლის მნიშვნელოვან მიზეზს დამოუკიდებელი ქვეყნის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში, დამოუკიდებლობისადმი თანამშრომლების არაერთგვაროვანი განწყობები წარმოადგენდა. ამ განწყობების ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო 1987-1991 წლებში ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერთა გარკვეული ნაწილის შეურაცმყოფელმა და აგრესიულმა დამოკიდებულებებმა საქართველოს უშიშროების კომიტეტის თანამშრომლებისადმი, მათ შორის საინფორმაციო სივრცის გამოყენებით. მაღალი ალბათობით ქმედებები საბჭოთა კავშირისა და შემდგომ რუსეთის ფედერაციის სადაზვერვო ინტერესებში შედიოდა. აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს ის გარემოება, რომ საქართველოს პირველი პრეზიდენტის და ხელისუფლების დამხობის ორგანიზების თავიდან ასაცილებლად, საქართველოს უშიშროების კომიტეტს აქტიური სადაზვერვო და კონტრსადაზღვევო საქმიანობა არ განუხორციელებია.

შეიძლება დავასკვნათ, რომ რუსეთის ფედერაციამ დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე აქტიურად გამოიყენა სადაზვერვო აქტივობები, პოლიტიკური და სამხედრო დაზვერვის მიმართულებით, რის შედეგადაც მოიპოვა უფლება სეპარატისტული ხელისუფლებების ჩამოყალიბებით ძირძველი ქართული ტერიტორიების ბუფერულ ზონად გამოყენების თვალსაზრისით. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სადაზვერვო აქტივობების შემცირების პერსპექტივა უახლეს პერიოდში არ იკვეთება, სწორედ ამიტომ დღის წესრიგში საქართველოს სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო უწყებების



განსაკუთრებული გააქტიურების აუცილებლობა დგას, ქვეყნის მიმართ მოსალოდნელი საფრთხეების თავიდან ასაცილებლად.

#### გამოყენებული წყაროები

1. გ.ნატროშვილი ეროვნული უსაფრთხოების მიზნები, ფაქტები და მაჩვენებლები. ახალი აზრი, №8 (14), – XII .

2. საქართველოს 2008 წლის 5 დეკემბრის კანონი №621 - სსმ I, №35, 05.12.2008 წ., მუხ.227;

3. ალადაშვილი ბესიკ. ეკონომიკური უსაფრთხოების არსი, მიზნები და მნიშვნელობა თანამედროვე მსოფლიოში // ახალი აზრი, № 1 (15), – 2004;

4. კონფლიქტის საფასური: ქართულ-სამხრეთ ოსური კონტექსტი. რედაქტორები: დიანა ალბოროვა, სუზან ალენი, ნინო კალანდარიშვილი. 2016.<http://regional-dialogue.com>;

5. მბულისკერია „რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის საერთაშორისო შეფასების ისტორიისათვის“. დისერტაცია ისტ.დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად ი.გოგებაშვილის სახ. თელავის სახ. უნ-ტი. თელავი 2016. გვ.99

**Ruslan Shavadze**

Caucasus international university, Faculty of social sciences, student of MA second course

### **The detrimental role of foreign intelligence activities in the recent history of Georgia's national security**

#### Resume:

The high probability of reconciliation of the intelligence activities against the independent Georgian state at the first stage of establishment, is driven by deployment of military units by the Russian Federation in the territories under the control of the separatist regimes. Therefore the events in the recent history have significant importance to the research.

## ვახტანგ მაისაია

პოლიტიკური და სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი, ნატოს შპშ კონსორციუმის ტერორიზმთან ბრძოლის საერთაშორისო ჯგუფის წევრი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი

### ნატოს უელსის სამიტი - საფრთხეების გამოვლენა და ახალი გეოსტრატეგიის შემუშავება-ომი გლობალურ ჯიჰადს

ისტორია მეორდება-ასეთი პასაჟი შეიძლება ეწოდოს ნატოს უელსის სამიტის მიმდინარეობას, რომელიც 2014 წლის 4-5 სექტემბერს გაიმართა. მართლაც გავიდა სულ რაღაც 24 წელი და ნატო უბრუნდება იმ ათვლის წერტილს, რომელიც მან განვლო 20-ე საუკუნის „ცივი ომის“ დამთავრებიდან 21-ე საუკუნის „ცივი ომის“ დაწყებამდე. ლონდონის 1990 წლის ნატოს სამიტზე, ალიანსის მოწინააღმდეგე-ვარშავის პაქტის დაშლის, საბჭოთა კავშირის რღვევის ფონზე, დღის წესრიგში დადგა ალიანსის როლის თავსებადობა პოსტსაბჭოთა გეოპოლიტიკური წესრიგის პირობებში. გამოიკვეთა ორი მთავარი გეოსტრატეგიული საფრთხე:

ა) სამხედრო გამოწვევები (გამოწვევა-ისეთი ტიპის საფრთხის წარმოჩენა, რომლის პროგნოზირება რთულია ან შეუძლებელი) ნატოს აღმოსავლეთის საზღვრებთან არასტაბილური რუსეთისაგან, მისი „ხისტი“ ავტორიტარული რეჟიმის მეთაურის ვლადიმერ პუტინის მხრიდან მომდინარე ახლად წარმოჩენილი საფრთხე, ამ სახელმწიფოს მხრიდან მასობრივი განადგურების იარაღის ფლობისა და მისი პოლიტიკური განვითარების პერსპექტივების გაურკვევლობა

ბ) ახლო აღმოსავლეთისა და მაღრიბიდან (ჩრდილოეთ აფრიკის „არაბული“ სეგმენტი) „სამხრეთის“ საფრთხე წარმოსდგებოდა რადიკალური ისლამის განვრცობით მაღრიბის ქვეყნებში (ალჟირი, მაროკო, ტუნისი, ეგვიპტე) და ახლო აღმოსავლეთიდან („ჰიზბოლაჰი“, „ჰამასი“, სალაფიტური იატაკქვეშეთი, „მუსულიმანი-ძმები“ და ა.შ.).

უნდა აღინიშნოს, რომ ლონდონის სამიტის შედეგები, საფრთხეების გამოვლენის კუთხით, დაფიქსირდა 1991 წლის რომის „ნატო“-ს სამიტის ფარგლებში მიღებული „ახალი სტრატეგიული კონცეფციის“ ფორმატში (1991 წლის კონცეფცია - 45-ე პარაგრაფი).

რუსეთის ფედერაციის მხრიდან ყირიმის მიმართულებით, უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებში აგრესიული სეპარატიზმის წახალისებასა და მხარდაჭერას, ნატო აღიქვამს როგორც ახალი ტიპის სამხედრო საფრთხეს და აპირებს გადადგას შესაბამისი კონტროლმები. დაიგეგმა სათანადო შეარაღებით „ნატოს“ სწრაფი რეაგირების ძალების წინმსწრები ოპერატიული რაზმების სამხედრო ბაზების ფარგლებში-5000 მებრძოლის (600 ადამიანი კადრირებული შემადგენლობით ბალტიის ქვეყნებში, პოლონეთსა და რუმინეთში, ხოლო 2000 საბრძოლო ოპერატიული რეაგირების რეზერვის განთავსება გერმანიის ტერიტორიაზე) ოდენობით. ამავე დროს ასიმეტრიული საფრთხის კონტექსტში, ალიანსის ხელმძღვანელობამ გამოყო ოთხი კონკრეტული სამხედრო გამოწვევა:

- კიბერომი ან კიბერთავდასხმა
- ენერგეტიკული უსაფრთხოება
- ტერორიზმი
- ჰიბრიდული ომი

ცალკე აღნიშვნის ღირსია მეორე გეოპოლიტიკური საფრთხის აღნიშვნა, რაც დაფიქსირდა სამიტის დეკლარა-

ციის 32, 33 პარაგრაფებში. ნატომ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო „ისლამური ხალიფატისაგან“ წამოსულ რეალურ სამხედრო სახის საფრთხეს, რომელსაც მიენიჭა გლობალური ხასიათის კლასიფიკაცია. „ისლამური ხალიფატის“ ფაქტორი არის ფართომასშტაბიანი და უფრო მეტი საფრთხის შემცველი ვიდრე ავღანური „თალიბანი“. გამოთქმული მოსაზრება დასტურდება ქვემოთჩამოთვლილი ფაქტებით:

1. ნატოს ხელმძღვანელობამ და წევრ-ქვეყნებმა ოფიციალურად აღიარეს „ისლამური ხალიფატი“ თანასწორ სამხედრო ძალად და აღიანსის ეგიდით აშშ-ს პრეზიდენტმა ობამამ ოფიციალურად გამოაცხადა „ანტიისლამისტური ხალიფატის კოალიციის“ შექმნა. ჯერ ნავულისხმევი იყო სახმელეთო ფართომასშტაბიანი ოპერაციის დაგეგმვა მაგრამ რეალური სიტუაციის შეფასების შემდეგ-ხალიფატის რეალური სამხედრო პოტენციალის გათვალისწინებით (იხ. ცხრილი#2) კოალიცია შემოიფარგლა „ჰაერი-ხმელეთის“ და „ზღვა-ხმელეთის“ ოპერატიულ-სტრატეგიული ოპერაციების წარმოებით, სპეცოპერაციების დაწყებით და სადაზვერვო-დივერსიული გეგმების შემუშავებით.

**ცხრილი#2**

ხალიფატის სამხედრო კომპონენტი	რაოდენობა	შენიშვნა
შეიარაღებული რაზმები (საარმიო ჯგუფი-ბრიგადა-ბატალიონი)	20-30 ათასი მებრძოლი (სამობილიზაციო პოტენციალი 60 ათასი)	„რეგულარულ ფორმირებებში“ ძირითადი მასაა ადგილობრივი სუნიტი ტომების წარმომადგენლები

<b>საბრძოლო ტანკი</b>	70	ზოგადად ხალიფატი ფლობს ერაყის არმიის 43 მილიარდიანი შეიარაღების სულ მცირე 15%-ს
<b>საბრძოლო მანქანა/ჯავშანმანქანა</b>	200	ამ რიცხვში შედის საბრძოლო ოპერაციების მართვის მანქანები „ჰამერი“-ერაყის არმიისგან ნადავლი. აქვე სამობილო ჯგუფების მანქანებიც იგულისხმება.
<b>საარტილერიო სისტემები (მათ შორის ზალპური)</b>	50	
<b>საბრძოლო ვერტფრენი</b>	8	
<b>საბრძოლო თვითმფრინავი</b>	12	ასადის რეჟიმის სამხედრო-საჰაერო ბაზის დაკავება რაკიში და თვითმფრინავები არის ძველი საბჭოთა წარმოების მიგ-23 და სუ-25 ერთეული

2. ალიანსმა უელსის სამიტის ფარგლებში შემუშავა ე.წ. „ახლო აღმოსავლეთის პარტნიორობის 28+3“ ახალი ფორმატი, ისევე როგორც სტრატეგიული პარტნიორობის „28+5“ ფორმატი და ასევე „ალიანსის წევრობის ასპირანტთა 28+4“ ფორმატი (სადაც ბალკანეთის სამ ქვეყნებთან ერთად შევიდა საქართველოც). სწორედ ამ „ისლამური ხალიფატის“ მხრიდან წამოსული საფრთხის კონტექსტში საინტერესოა განვიხილოთ „28+3“ ახლო აღმოსავლური ფორმატი, სადაც ნატომ შეიყვანა იორდანია, **მოლდოვის რესპუბლიკა და საქართველო**. ამ ფორმატის ქვეყნებისთვის შემუშავებული იქნა და გავრცელდა ე.წ. „გაფართოებული უსაფრთხოების და თავდაცვის მშენებლობის განვითარების ინიციატივა“ (**Defence Capacity Building Initiative**), რომლის ფარგლებში გათვალისწინებული იყო ინტენსიური სადაზვერვო ინფორმაციების გაცვლა და სადაზვერვო გეგმების შემუშავება. საქართველოსთვის ე.წ. „ოქროს ბარათის“ მიცემა და გაფართოებული პარტნიორობის პაკეტის მონიჭება (კმკ სამხედრო-საწვრთნელი ცენტრის დაარსება, ნატოს სამხედრო მრჩეველთა ჯგუფის გამოყოფა, ნატო-ს წევრი ქვეყნების მხრიდან დე ფაქტო სანქციების მოხსნა შეიარაღების მიწოდების თაობაზე [აღნიშნული სანქციები დაწესებული იყო მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებისთვის 2009 წლიდან], ერთობლივი წვრთნების ჩატარება და ა.შ.) განპირობებულია ჩვენი ქვეყნის გეოსტრატეგიული მდებარეობით (ერაყისა და სირიის საზღვრებიდან 2000 კმ-ის დისტანცია, აშშ-სთან სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ამოქმედება და „ისლამურ ხალიფატის“ ხელმძღვანელობაში „ქართული კვალის“ არსებობა). რაც შეეხება რატომ შეირჩა მოლდოვა, აქ აღნიშნული პასაჟი აიხსნება იმ ფაქტორით, რომ იგი გეოგრაფიულად მდებარეობს ე.წ. „აქტიურ სატრანზიტო ზონაში“, რომლის მიხედვითაც ხალი-

ფატის მხარეს მებრძოლი დასავლეთ ევროპისა და აშშ-ს მოქალაქეების (იხ.ცხრილი#1) ანუ ე.წ. „მეთხე თაობის ჯიჰადისტების“ უკან ევროკავშირის წევრ-ქვეყნებში ინფილტრაციის მაღალი ალბათობა არსებობდა. **ცხრილი#1**

<i>ქვეყანა</i>	<i>გეოგრაფიული რეგიონი</i>	<i>ხალიფატის სამხედრო კომპონენტის რაოდენობა (2013-14 წლების მონაცემებით)</i>
რუსეთის ფედერაცია	კავკასია	2 000-3 000
საუდის არაბეთი	არაბეთის ნახევარკუნძული	1200
ტუნისი Tunisia	მალრიბი	1800
იორდანია	ახლო აღმოსავლეთი	1000
მაროკო	მალრიბი	900
ლიბია	მალრიბი	800
ლიბანი	ახლო აღმოსავლეთი	800
აზერბაიჯანი/საქართველო	კავკასია	350
ბოსნია-ჰერცეგოვინა /ალბანეთი	ბალკანეთი	500

საფრთხე განსაკუთრებით მას შემდეგ გაიზარდა, რაც ამ ქვეყანამ (ისევე როგორც საქართველომ) ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას და მოლოდინზე გავრცელდა უვიზო მიმოსვლის რეჟიმი ევრო-

კავშირის ქვეყნებთან. ამას გარდა, მოლდოვის მეშვეობით შეიძლება ამოქმედდეს ე.წ. „შავი სატრანზიტო კორიდორი“-დნესტრისპირეთი-ოდესა-აფხაზეთი-ჩრდილოეთ კავკასია. ამ მარშუტით პირველი და მეორე „ჩეჩნური ომების“ პერიოდში სავლელ მეთაურების შამილ ბასაევის და ხატაბის მეშვეობით ხორციელდებოდა იარაღის უკანონო ტრანზიტი, ნარკოტიკების უკანონო გადაზიდვა, მებრძოლების და ფინანსურ საშუალებათა გადაადგილება. ყოველივე აღინიშნა სამიტის დეკლარაციაში შემდეგი კონტექსტით: „**დამატებით, მოკავშირეები კიდევ უფრო გააუმჯობესებენ თავიანთ თანამშრომლობას ინფორმაციების გაცვლის კუთხით, რომელიც შეეხება უცხოელი მებრძოლების დაბრუნებას**“. დე ფაქტო აფხაზეთის ტერიტორიაზე უკვე ამოქმედდნენ „ისლამური ხალიფატის“ ემისრები და შეიქმნა დაახლოებით 50-კაციანი იატაკქვეშა ვაჭაბიტური დაჯგუფება.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტორი, თუ რატომ შეირჩა ამ კომპონენტით საქართველო „ახლო აღმოსავლურ კალათაში“ და რატომ შეიძლება გახდეს ჩვენი ქვეყანა კოალიციის ერთ-ერთ დასაყრდენ ბასტიონად „ისლამური ხალიფატთან“ ბრძოლაში. საქართველოს ამ ამხრივ გააჩნია უნიკალური მდებარეობა, როგორც სახმელეთო, საჰაერო ისე საზღვაო სივრცეების თვალსაზრისით. შავ ზღვაში შეიძლება განთავსდეს კოალიციის საზღვაო-დამტყმელი დაჯგუფება, თუნდაც საქართველოს საზღვაო აკვატორიაში, სადაც სამხედრო ხომალდებზე და გემებზე (საკრეისერო, სანალმოსნო და წყალქვეშა ნავების კლასის) განთავსებულ ფრთოსან ბალისტიკურ რაკეტებს (მაგალითად, „თომას-ჰოუკის“ ტიპის) გააჩნიათ ფრაყისა და სირიის ჩრდილოეთ და ჩრდილო-დასავლეთის ტერიტორიამდე წვდომა. შემთხვევითი არ იყო იმ პერიოდისათვის ნატოს და მისი ცალკეული



წვერი-ქვეყნების საზღვაო დამრტყმელი ხომალდების შემოსვლა საქართველოს ტერიტორიულ წყლებში. საქართველო მიმზიდველია სამხედრო-საჰაერო ბაზების არსებობითაც, რომელთა წვდომის ოპერატიული სიღრმე მოიცავს ერაყისა და სირიის ტერიტორიებსაც, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ საქართველოს ტერიტორიიდან განხორციელდეს საბრძოლო მფრინავების სავეაკუაციო-სამაშველო ოპერაციები ან სადაზვერვო საჰაერო ტიპის ფრენები. შესაძლებელია საქართველოში განთავსდეს კოალიციის ცენტრალური მართვის პუნქტი და ა.შ.

ზოგადად რომ ვისაუბროთ, „ისლამური ხალიფატის“ საფრთხე არა მარტო გლობალურ, არამედ რეგიონალურ გეოპოლიტიკურ ჩარჩოებსაც მოიცავს. ხალიფატის ეგიდით გაერთიანებული ისლამისტების მხრიდან მთელი კავკასიის „გათავისუფლება“ (ეს არის სწორედ ხალიფატის პოლიტიკური ხელმძღვანელობის ტერმინი) რეალურია და, სამწუხაროდ, ეს უცილობლად მოიცავს აზერბაიჯანისა და საქართველოს ტერიტორიებსაც. ისლამისტებს არ აინტერესებთ კავკასიის რეგიონის ქვეყნებში ვინ იქნება მმართველი ძალა. „ისლამური ხალიფატი გავლენიანი ძალა გახდა და მან ჩაანაცვლა „ალ-ქაიდა“. შექმნილია ახალი ჯიჰადისტური ალიანსი, რაც აერთიანებს სამ გავლენიან ძალას „კავკასიის ისლამურ იმარატს“ (ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიას, ასევე, რუსეთის შიდა ტერიტორიებს- სტავროპოლის, ვოლგოგრადის, ასტრახანის მხარეს), „ისლამურ ხალიფატს“ (რომელიც მოქმედებს ახლო აღმოსავლეთში, მესოპოტამიაში და აპირებენ გაავრცელონ გავლენა საუდის არაბეთსა და მალრიბის ტერიტორიაზე) და „თალიბანს“ (ცენტრალური აზია და შუა აღმოსავლეთი). გამორიცხული არ არის, ისლამურმა ხალიფატმა თავისი გავლენის ქვეშ უკვე მოაქცია აფრიკის კონტინენტზე მოქმედი ისლამისტური დაჯგუფება.

შეიძლება დავასკვნათ, რომ უელსის სამიტი წარმოადგენდა ისტორიულ მოვლენას და რამდენად გართმევს თავს ალიანსი შემდგომში მის წინაშე წარმოჩენილ სამხედრო საფრთხეებს და გამოწვევებს უახლოეს მომავალში გამოჩნდება, თუმცა „ისლამური ხალიფატის“ დაძლევა იქნება საკმაოდ შრომატევადი, ხანგრძლივი და საშიში პროცესი.

VAKHTANG MAISAIA

Ph. D in politics and military science. Head of MA Program for International Security Studies. Caucasus International University, Associate Profesor. Member of NATO PfP Consortium Combating Terrorism Working Group

## **NATO Wales Summit-New Challenges and Elaboration New Geostrategy: Global War against Jihad.**

### **Resume**

The NATO Warsaw Summit hold on 7-9 July of 2016 was an historic event due to the complexity processes associated with the Summit. At first time, parallel to the Summit at first time was hold NATO Warsaw Summit Expert Forum where prominent international experts on international security and strategic studies as well as academic scholars in the field of expertise and international NGO's and think-tanks representatives summoned and shared their viewpoints with the Summit participants. Moreover, the Summit has managed to discuss and made up decisive issues and decisions. During the Summit, up to ten documents were adopted, including the final communique, which for the first time in the history of summits

was quite "thick" and more specific compared to previously adopted documents (about 139 items). For the first time during the recent decades, European Union and NATO came to a consensus and adopted a common declaration, where they expressed their common position on common problems within the frameworks of transatlantic security and agreed on plans for further strategic cooperation between the organizations. Most importantly, the representatives of both organizations expressed common approach towards the threats emanating from the East and South (i.e. from Russia and DAISH). The Alliance identified three geostrategically special regions at this stage for more active actions in the context of strategic defense and deterrence (defense and deterrence). Those became the basic questions of this summit: the Baltic Sea, the Black Sea and the Aegean Sea. In general, NATO returned to collective defense strategy and temporarily is under the way to forget collective security one. This is a new game where the South Caucasus is becoming a "red frontier" line between the game actors: NATO and Russia.

It seems to me that the priorities of NATO and Russia in the region are evolving within the frameworks of the so-called "security dilemma", where the parties are trying to build their military capabilities and the tools of political pressure on the countries of the region, compete with each other in geostrategic dimensions. On the one hand the intensive NATO military exercises in Georgia and implementation of the Comprehensive Assistance Package, and on the other hand strengthening of its military potential in the territories of occupied Abkhazia and South Ossetia as well as the establishment of joint air defense system with Armenia and strengthening of Caspian flotilla by Russia.

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნი-  
ვერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი

**საქართველო, როგორც უცხო  
სახელმწიფოების ეკონომიკური დაზვერვის სამიზნე  
ობიექტი**

სადაზვერვო საქმიანობა სახელმწიფოს არსებობისა-  
თვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან იგი ეროვ-  
ნული უსაფრთხოების უზრუნველყოფ ერთ-ერთ სერი-  
ოზულ დარგს წარმოადგენს. ქვეყნის სადაზვერვო და  
კონტრსადაზვერვო საქმიანობის ხარისხი პირდაპირ უკავ-  
შირდება ეროვნული უსაფრთხოების ხარისხს.

არც ერთი იმპერიის, სამეფოს, სახელმწიფოს წიაღში  
სახელმწიფოებრივად მოაზროვნებს არ დაუწყიათ კამათი  
იმის თაობაზე, საჭიროა თუ არა სადაზვერო საქმიანობა,  
პირიქით, სახელმწიფოს გაძლიერებისათვის დარგის ფინან-  
სური და მორალური მხარდაჭერის პროცესი სისტემატუ-  
რობით ხასიათდებოდა და თანამედროვე ეპოქაშიც მაღალ-  
განვითარებულ ქვეყნებში საკითხი სწორედ ასე დგას.

თავიანთი ქვეყნების სადაზვერვო სამსახურებთან  
წლების მანძილზე იყვნენ დაკავშირებული ცნობილი  
მეცნიერები, პოლიტიკოსები, ხელოვნებისა და კულტურის  
წარმომადგენლები, მაღალი რანგის სახელმწიფო მოღვა-  
წეები და თვით ქვეყნის პირველი პირები. ცნობილია, რომ  
რუსი მწერალი, დრამატურგი და დიპლომატი ალექსანდრე  
გრიბოედოვი, ამავედროულად იყო რუსეთის იმპერიის  
დაზვერვის რეზიდენტი. ნიკო მარი, ცნობილი მოგზაური,  
გეოგრაფი, ცენტრალური აზიის მკვლევარი საბჭოთა  
კავშირის სადაზვერვო სამსახურთან თანამშრომლობდა.  
ნიკოლოზ მიხეილის ძე პრუჟევალსკიც ამავედროულად იყო

რუსეთის სამხედრო დაზვერვის თანამშრომელი, გენერალ-მაიორი. ბევრისათვის უცნობია ის ფაქტი, რომ სათავგადასავლო რომანის “რობინზონ კრუზოს” ავტორი დანიელ დეფო ბრიტანეთის დაზვერვის ერთ-ერთი დამაარსებელი და ამ საქმის კარგი ორგანიზატორი იყო და ა.შ.

სადაზვერვო სამსახურების სტრუქტურა კაცობრიობის განვითარებასთან ერთად იხვეწებოდა. თანამედროვე ეტაპზე განასხვავებენ პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და სამეცნიერო-ტექნიკური ხასიათის სადაზვერვო ქმედებებს და შესაბამისად ამ მიმართულებებზე ხორციელდება სრულიად საიდუმლო ინფორმაციების მოპოვება.

ეკონომიკური დაზვერვის სამოქმედო არეალი, ობიექტი სახელმწიფოს ეკონომიკური სექტორია.

პოლიტიკური დაზვერვის მოქმედების ზონას წარმოადგენს დაზვერვას დაქვემდებარებული ქვეყნების ხელისუფლება, პოლიტიკური პარტიები, არასამთავრობო სექტორი, პროფკავშირები და ა.შ. სამხედრო დაზვერვის სფეროს სამიზნე სახელმწიფოების სამხედრო სიძლიერე და პოტენციალი, ხოლო სამეცნიერო-ტექნიკური დაზვერვის ინტერესის სფეროს ობიექტი ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური სექტორია.

ეკონომიკური დაზვერვა სახელმწიფოსთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა, რომლის სწორი დაგეგმარება და განხორციელება საშინაო თუ საგარეო პოლიტიკური კურსის გასატარებლად სერიოზულ მსაზღვრელს წარმოადგენს.

როგორც სადაზვერვო საქმიანობის სხვა მიმართულებებზე ეკონომიკური დაზვერვის შემთხვევაშიც დიდი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის მიღების დროულობას, სრულყოფილებას და სანდოობას. არამყარი ინფორმაციული პროცესი შედეგობრივად არამდგრად ანალიტიკურ

საქმიანობას, საფრთხეების არასწორ გამოკვეთას უკავშირდება, რამაც ქვეყანა პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისამდე შეიძლება მიიყვანოს. სადაზვერვო საქმიანობის ისტორია აჩვენებს რომ ეკონომიკურ დაზვერვის კუთხით სამსახურები ორგანიზებას უკეთებენ სპეცლონისძიებებს, რომელთა ძირითად ამოცანას დაზვერვას დაქვემდებარებული სახელმწიფოს (სახელმწიფოების) ეკონომიკური სისტემების რღვევა წარმოადგენს. ამ მეთოდის გამოყენება კონკურენტულ ბაზრებზე შეღწევალობით და მისი დაპყრობით სრულდება.

ენერგეტიკული სექტორი და მისი დაცვა ეროვნული უსაფრთხოების განუყოფელი ნაწილია. სახელმწიფოს მხრიდან საკუთარი სტრატეგიული ინტერესების სასარგებლოდ სხვა ქვეყნების ენერგეტიკულ რესურსებზე კონტროლის ორგანიზება ეკონომიკური დაზვერვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა.

სპეციალისტების გათვლით, „2030 წლამდე ენერგორესურსების საპროგნოზო მოხმარების ყოველწლიური მაჩვენებლის 1,6%-იანი ზრდაა ნავარაუდები. ამასთან ერთად ენერგორესურსებზე მოთხოვნილება 50%-ზე მეტით უნდა გაიზარდოს“. შესაბამისად საქართველო, როგორც მზის, ქარის, ქვანახშირის, ჰიდრორესურსებით მდიდარი სახელმწიფო არ შეიძლება არ წარმოადგენდეს უცხო ქვეყნების სადაზვერვო სამსახურების დაინტერესების ობიექტს. აქედან გამომდინარე, საკუთარი სახელმწიფოების ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებით რესურსებზე კონტროლის დამყარების თვალსაზრისით, შესაძლებელია საქართველო უცხო სახელმწიფოთა ინტერესთა გადაკვეთის სფეროში მოხვდეს და ის ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური დაძაბულობის საფუძველი გახდეს.

გამოთქმულ მოსაზრებას ამყარებს საქართველოს უახლეს ისტორიაში განვითარებული მოვლენები. „1989 წელს საქართველო საკუთარი ძალებით გამოიმუშავებდა 13,6 მლრდ კვტ/სთ ენერჯიას, მოიხმარდა 18,5 მლრდ კვტ/სთ, ხოლო 4,5 მლრდ კვტ/სთ სხვა რესპუბლიკებიდან შემოდიოდა.

1990-1994 წლებში ელექტროენერჯიის წარმოება 6,9 მილიარდ კვტ/სთ-მდე შემცირდა. ამავე წლებში მოხმარება 56%-ით დაეცა. მოთხოვნის 70,5% ჰესებში წარმოებული ენერჯიით იფარებოდა. 17,6% თბოსადგურებზე, ხოლო 11,9% რუსეთიდან იმპორტზე მიდიოდა. შემდგომი პერიოდის მახასიათებელია ენერგეტიკული უსაფრთხოების ობიექტების პერიოდული გასხვისება, რომლის მეპატრონეები რუსეთის ფედერაციის კომპანიები გახდნენ. მოსაზრებას ადასტურებს „ინტერ რაოს“ საკუთრებაში აღმოჩენილი სს „თელასის“ აქციათა პაკეტის 75%, 2003 წლის ოქტომბერში, შპს „მტკვარი ენერგეტიკის“ აქციათა პაკეტის 100%, 2000 წელს „ხრამი I“ და „ხრამი II“-ის მართვის უფლება“. ამასთან ერთად საყურადღებოა კომპანია „იტერასაქართველო“ მოღვაწეობა, რომელიც 2003 წელს ყოფილი სს „საქგაზის“ ბაზაზე ჩამოყალიბდა. კომპანია საქართველოს გამომარაგების სადისტრიბუციო კომპანიების სოლიდურ რაოდენობას ფლობს. ყოველივე მინიშნებული სახელმწიფოს სწორი სტრატეგიული გათვლის შედეგს წარმოადგენს, რაც ეკონომიკური საბოტაჟის ნიშნებს შეიცავს.

შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი: დღეის მდგომარეობით და უახლესი პერსპექტივით საქართველო, როგორც მზის, ქარის, ქვანახშირის, ჰიდრორესურსებით მდიდარი სახელმწიფო უცხო ქვეყნების სადაზვერვო სამსახურების დაინტერესების ობიექტია. შესაბამისად, იგი უცხო სახელმწიფოთა ინტერესთა გადაკვეთის არეალშია, რაც

სადაზვერვო აქტივობებით საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური დაძაბულობის საფუძველებს შექმნის. ამრიგად ამ მიმართულებით საქართველოს სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო სამსახურებს განსაკუთრებული ყურადღება მართებთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.ჯუსტან ბოკუჩავა-საქართველოში ელექტროენერგეტიკის სახელმწიფო რეგულირების ზოგიერთი ასპექტები. წმიდა გრ. ფერადის თბილისის სას-წავლო უნივერსიტეტის შრომების კრებული N 4, 2016.

2.,„დაზვერვა, როგორც ქვეყნის სასიცოცხლო ინსტიტუტი“. <https://www.militarium.org/dazvervis-instituti>;

3.,„ეკონომიკური დაზვერვა“. <http://documents.tips/documents/55cf9d51550346d033ad19ec.html>;

4.,„Экономическая разведка: цель всегда оправдывает средства...“ <https://cont.ws/@bia354444/111914>;

5. ვ.ბაძალუა. სადაზვერვო ტერმინების გამნარტებითი ლექსიკონი. საქართ. დაზვერვის სამსახურის სპეციალური მომზადებისა და გადამზადების ცენტრი, თბილისი 2010.

**BEQA GOGINAVA**

Second year student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, faculty of economics

**Georgia, as a foreign economic intelligence target  
object**

summary

Georgia, as a foreign economic intelligence target object- summary of recent history- Economic intelligence of the major trends, the object of the country (countries) is the damaging penetration to the energy sector. In this regard, Georgia- as a rich state of solar, wind, coal and hydro resources is the object of interest for foreign intelligence.



წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის მართვისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ფაკულტეტის სტუდენტი

**საბოტაჟი-დანაშაული საქართველოს  
კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების  
საფუძვლების წინააღმდეგ**

საბოტაჟი ქვეყნისათვის სერიოზული საფრთხის შემცველი დანაშაულია. მისი მარგანიზებული შესაძლოა იყვნენ, როგორც გარე, ისე შიდა ძალები და მოქმედებდნენ როგორც დამოუკიდებლად ისე ერთობლივად.

ქვეყნის გარედან საბოტაჟური ფორმით კანონსაწინააღმდეგო ქმედებების მეთოდები იყოფა ორ ჯგუფად: პირველს განეკუთნება ფარული ქმედებები, რომლებიც არღვევენ საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების სამსახურების ნორმალურ ფუნქციონირებას, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარის განვითარებას. აღნიშნული ქმედებების განხორციელებისას მოწინააღმდეგე ეყრდნობა სამიზნე ქვეყნის მოქალაქეთა რიგებიდან გადასაბირებელთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობის არასწორად ან ბოროტად გამოყენებას.

მეორე ჯგუფი აერთიანებს ისეთ მეთოდებს, რომელთა დახმარებითაც საბოტაჟი შეიძლება განხორციელდეს მოწინააღმდეგის მიერ გადაბირებული პირების გარეშე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ სოციალურ ეკონომიკურ, სამხედრო, თუ სხვა დაწესებულებებზე, გარედან სხვადასხვა ფარული თუ აშკარა ორგანიზაციული შეფერხების შექმნის გზით.

საბოტაჟური ქმედებები ასევე შეიძლება განახორციელონ სახელმწიფო ხელისუფლებაზე, საწარმოების, დანესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელებზე განაწყენებულმა ცალკეულმა პირებმა ან პირთა ჯგუფებმა.

აღნიშნულით არის განპირობებული, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, საბოტაჟი განეკუთნება სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებათა რიგს და 318-ე მუხლის თანახმად დასჯადი ქმედებაა.

საბოტაჟი შეიძლება განხორციელდეს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში: ეკონომიკაში, პოლიტიკაში, თავდაცვაში და ა.შ.

ვინაიდან ენერგეტიკა მნიშვნელოვანი სეგმენტია, ენერგეტიკული ობიექტების შესწავლა-დაზიანება კი დაინტერესებული უცხო ქვეყნების სადაზვერვო სამსახურების ერთერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. სწორედ ამიტომ ენერგეტიკული უსაფრთხოება სახელმწიფოს პრიორიტეტული მიმართულებაა.

ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ ეკონომიკის მნიშვნელოვან დარგზე ქვანახშირის წარმოებასა და მის მნიშვნელობაზე ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

საერთაშორისო ასპარეზზე სახელმწიფოთა დომინირებისათვის ბრძოლაში დიდი ადგილი უჭირავს ქვანახშირის მარაგებზე კონტროლს, რადგან ის ნავთობის შემდეგ მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსია. ქვანახშირი ბუნებრივ აირთან და ნავთობთან ერთად მსოფლიო ენერგობალანსის თითქმის 90%-ს შეადგენს და ბოლო 40 წლის განმავლობაში მათი მოხმარება 2,5-ჯერ გაიზარდა, ამასთან ერთად გამომუშავებული ელექტროენერჯის 40% ქვანახშირზე მოდის.

ქვანახშირის, როგორც სტრატეგიული მარაგის მნიშვნელობა იმითაც არის განპირობებული, რომ დღეს არსებული ტექნოლოგიებით მისი გადამუშავების შედეგად მიიღება ისეთი პროდუქტი, როგორცაა: ბენზინი, დიზელის საწვავი, რეაქტიული ძრავების საწვავი, მეთანოლი.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ქვანახშირის მარაგები ძირითადად ათვისებულია.

დადგენილია, რომ საკუთარი ქვანახშირის მარაგებით საქართველოს მნიშვნელოვნად შეუძლია ენერგო უსაფრთხოების მაჩვენებლის გაუმჯობესება, რაც არ შედის იმ ქვეყნების ინტერესებში, რომლებიც ენერგორესურსების ექსპორტით არიან დაინტერესებულნი. შესაბამისად საქართველოში ქვანახშირის მრეწველობის განვითარების არა თუ ხელშემწყობნი, უბრალო მაყურებლებიც კი ვერ იქნებიან ენერგორესურსების ექსპორტიორი ქვეყნები.

ამ და სხვა რიგი გარემოებებით არის განპირობებული, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ საქართველოში მნიშვნელოვნად იკლო ქვანახშირის მოპოვებამ. იგი დღეს 401708 ტონას შეადგენს, მაშინ როდესაც 1958 წელს დაფიქსირდა მისი წარმოების ყველაზე მაღალი დონე-3 მლ. ტონაზე მეტი. მომპოვებელი ტექნოლოგიებისა და გეოლოგიური პირობების მართვის სუსტი განვითარების გამო მაღაროები დაიხურა ერთმანეთის მიყოლებით, გარდა ტყიბული-შაორის საბადოებისა, სადაც წარმოება შედარებით სტაბილური იყო, მაგრამ მოცულობა დაბალი. ფაქტობრივად, დარგი ოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში სტაგნაციაში იყო, არადა საქართველოში არსებული ქვანახშირის რეზერვები შეფასებულია 300-500 მლ. ტონით.

ფაქტობრივად სახეზე გვაქვს უცხო ქვეყნების მხრიდან საქართველოს სხვადასხვა დროის ხელისუფალთა წარმო-

მადგენლებთან კავშირში საბოტაჟი ქვანახშირის მრეწველობაში.

ქვანახშირის გარდა შეგვიძლია ვისაუბროთ გემთმშენელობაზე, სადაც საქართველო ერთ-ერთი მონინავე იყო. საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე ორი ქალაქის ბათუმის და ფოთის პორტები სახელმწიფოს სტრატეგიული დანიშნულების ობიექტებად ითვლებოდა. საქართველოს სანაოსნომ 1967 წლიდან 1993 წლამდე იარსება. საერთაშორიშო ნაოსნობაში დაახლოებით 55 გემი იმყოფებოდა და წლიურად 10 მილიონ ტონამდე ტვირთი გადაჰქონდათ, ხოლო 1993 წელს კი გემების რაოდენობამ 57 ერთეულს მიაღწია, შესაბამისად წლიური ტვირთბრუნვაც გაზრდილი იყო.

ფოთსა და ბათუმში წარმატებით ფუნქციონირებდა გემთსაშენი ქარხანა, მაგრამ 1993 წლიდან ამ ქარხნების ფუნქციონირება შეწყდა. ამ შემთხვევაშიც სახეზე გვაქვს ეკონომიკური საბოტაჟის ნიშნების შემცველი ქმედება, რომელიც განხორციელდა როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური ხელისუფლების მაღალჩინოსნების აქტიური მხარდაჭერითა და მონაწილეობით.

ეკონომიკური საბოტაჟის ნიშნების შემცველი ასევე ერთ-ერთი ნათელი მაგალითია მინერალური წყლის „ბორჯომი“ წარმოება, რომელიც 1500 წელზე მეტს ითვლის და პოპულარულობითაც სარგებლობდა რუსეთის იმპერიაში, ყოფილ სსრკ-ში და მის ფარგლებს გარეთაც.

საქართველოს სასარგებლო წიაღისეულის მარაგების კომიტეტმა დაამტკიცა და განაცხადა, რომ 2006-2013 წლებში ბორჯომის მინერალური წლის მოპოვების მოცულობა დღეში 561000 ლიტრს შეადგენდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველდღიურად 1000000-ზე მეტი ბოთლი ბორჯომი ინარმოებოდა. დღესდღეისობით 9 საექსპლუატაციო ჭაბურ-

დილი ფუნქციონირებს თვითდინებებით, ანუ მოიპოვება იმ რაოდენობის წყალი, რომელიც ბუნებრივი გზით აღდგება. ჭაბურღილიდან 25 კილომეტრიანი უჟანგავი მილით მიეწოდება ჩამომსხმელ ქარხნებს იქ ის ყენდება, ცივდება და ხდება მისი დაგაზიანება.

ბორჯომში ორი ჩამომსხმელი ქარხანა ფუნქციონირებს: ერთი მინერალურ წყალს შუშის, ხოლო მეორე კი პოლიეთილენის ბოთლებში ასხამს. სწორედ ბორჯომთან მიმართებაში განახორციელა რუსეთის ფედერაციამ საბოტაჟის ნიშნების შემცველი ქმედება. 2006 წლის 4 მაისს რუსეთის ფედერაციის მთავარი სანიტარის ბრძანებით რუსეთში „ბორჯომი“-ს შეტანა აიკრძალა. მიზეზად განაცხადეს, რომ პროდუქცია არ აკმაყოფილებდა სანიტარულ ნორმებს, ამ ყველაფრის ფონზე რუსეთის ბაზარზე გაჩნდა ახალი მინერალური წყალი: „русский боржом“.

2007 წელს ქართველი მწარმოებლების საჩივრის საფუძველზე რუსეთში აკრძალულ იქნა მსგავსი დასახელების წყლის გაყიდვა.

2013 წლის 11 აპრილიდან „ბორჯომი“ დააბრუნეს რუსულ ბაზარზე ქართული წარმოებით, იმავე მთავარი სანიტარის თანხმობით.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საბოტაჟი სადაზვერვო ორგანიზების მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს, რომელიც სახელმწიფოს ეროვნულ უსაფრთხოებაზე დამანგრეველ ზემოქმედებას იწვევს. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ძირითად მსაზღვრელის ეკონომიკურ უსაფრთხოების დაცვის სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ორგანიზების საკითხებს, მათ შორის საქართველოს უახლეს ისტორიაში ამ მიმართულებებით უცხო სახელმწიფოთა მხრიდან განხორციელებული ქმედებების მეცნიერულ კვლე-

ვებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თენგიზ ენდელაძე. საგარეო დაზვერვის სამსახურები. თბილისი 2007 წ.

2. დავით კუხალაშვილი. ენერჯეტიკული, ტურიზმის, სასურსათო, ინტერნეტ და რელიგიური უსაფრთხოების სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ორგანიზება. თბილისი 2016 წ.

3. ინტერნეტრესურსები:

[http://www.gig.ge/?page=gig;](http://www.gig.ge/?page=gig)

<http://www.opentext.org.ge/index.php?m=12&y=2014&art=1413>

<https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%.....>

**Medea Chigladze**

St. Grigol Peradze university students of business regulations and informational technologies

### **Sabotage - crime against constitutional construction and security foundation.**

#### Summary

Sabotage is a serious dangerous crime for country it's organizers , might be as inside forces as

outside and might act as independently, as together . therefore, we think that none attention must be paid to the economical security, as a basic part af national security in our country.

## დავით კუხალაშვილი

ისტორიის დოქტორი, შსს აკადემიის ასოცირებული პროფესორი

## მზვეინარ გურული-კუხალაშვილი

ავრარულ მეცნიერებათა დოქტორი

### ეკონომიკური დაზვერვის თეორიული ასპექტები. ეკონომიკური საბოტაჟი

სადაზვერვო საქმიანობის ისტორიის ანალიზი აჩვენებს, რომ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში ეკონომიკური ხასიათის დამაზიანებელი აქციების ორგანიზება ერთერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს.

სახელმწიფოს ეკონომიკური ძლიერების და საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების წინააღმდეგ დამაზიანებელი ქმედებების ორგანიზება, „დასაზვერვი ქვეყნის კონსტიტუციური წყობილებისათვის და მისი საერთაშორისო პოზიციებისათვის ზიანის მიყენების ამოცანას“ წარმოადგენს.

ეკონომიკური დაზვერვის შესწავლისა და დასაზიანებელ მიმართულებს წარმოადგენს:

- დაზვერვის ობიექტი სახელმწიფოს (სახელმწიფოთა) ეკონომიკური სისტემები
- დაზვერვის ობიექტი სახელმწიფოს (სახელმწიფოთა) ეკონომიკური პოტენციალი
- დაზვერვის ობიექტი სახელმწიფოს (სახელმწიფოთა) შიდა ეკონომიკური პროგრამები
- დაზვერვის ობიექტი სახელმწიფოს (სახელმწიფოთა) საერთაშორისო ეკონომიკური კავშირები

შესაბამისად, ამ და სხვა მნიშვნელოვან მიმართულებებზე მზვერავი სახელმწიფოები სადაზვერვო ხასიათის, ხო-

ლო დაზვერვას დაქვემდებარებული სახელმწიფოები კონტრსადაზვერვო ხასიათის აგენტურული აპარატის ფორმირებას და სრულყოფას უზრუნველყოფოვენ.

ჩამოთვლილ მიმართულებებზე ყველა სახელმწიფოს გააჩნია საიდუმლოების შესაბამისი ხარისხით დაცული ინფორმაციები, რომელთა გაჟონვის თავიდან აცილების მაკონტროლებელ რგოლს სახელმწიფოს კონტრსადაზვერვო დანაყოფი წარმოადგენს.

ეკონომიკური დაზვერვის დაზიანების ამოცანებია:

- დაზვერვის ობიექტი სახელმწიფოს (სახელმწიფოთა) ეკონომიკური სისტემების რღვევის ორგანიზება
- დაზვერვის ობიექტი სახელმწიფოს (სახელმწიფოთა) ეკონომიკური პოტენციალის გამოუყენებლობის ორგანიზება
- დაზვერვის ობიექტი სახელმწიფოს (სახელმწიფოთა) შიდა ეკონომიკური პროგრამების განხორციელებაზე ხელშეშლა
- დაზვერვის ობიექტი სახელმწიფოს (სახელმწიფოთა) საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების მოშლა და ახალი კავშირების ჩამოყალიბებაზე ხელშეშლა

ეკონომიკური ხასიათის სადაზვერვო ამოცანების გადასაჭრელად მონყვლადი ადგილების გამოყენება ან შექმნა მიზანმიმართულად ხორციელდება. შესაბამისად წარმატებული ოპერატიულ-აგენტურული შეღწევადობა სახეზეა თუ მიღწეულია:

- დაზვერვის ობიექტი სახელმწიფოს (სახელმწიფოთა) ინტერესების საზიანოდ ამ ქვეყნის სარეალიზაციო ბაზრებზე შეღწევადობა
- დაზვერვის ობიექტი სახელმწიფოს (სახელმწიფოთა) ინტერესების საზიანოდ ამ ქვეყნის სარეალიზაციო ბაზრების დაპყრობის მასშტაბების ზრდისადმი ხელშეწყობა



- დაზვერვის ობიექტი სახელმწიფოს (სახელმწიფოთა) ინტერესების საზიანოდ ამ ქვეყნის სარეალიზაციო ბაზრების სრული დაპყრობა

ამ შედეგის მისაღებად შესაძლოა განხორციელდეს ისეთი ეკონომიკური ხასიათის სადაზვერო ოპერაციები, როგორცაა:

- ობიექტი სახელმწიფოს (სახელმწიფოების) ან/და კერძო კომპანიის საკუთრებაში არსებული სასარგებლო წიაღისეულის გამოუყენებლობისათვის პირობების შექმნა ან/და არსებული კავშირების მოშლა ან/და ახალი კავშირების შექმნაზე ხელის შეშლა
- ობიექტი სახელმწიფოს (სახელმწიფოების) ან კერძო კომპანიის საკუთრებაში არსებული პროდუქციის შემქნელი წარმოება-დანესებულებების კავშირების მოშლა ან/და ახალი კავშირების შექმნაზე ხელის შეშლა
- აგენტურული ქსელის ჩამოყალიბება, ან არსებულის სრულყოფა
- ობიექტი სახელმწიფოს (სახელმწიფოების) ან კერძო კომპანიის საკუთრებაში არსებული თაბრიკა-ქარხნების მწყობრიდან გამოყვანის უზრუნველსაყოფად საბოტაჟური ან/და ტერორისტული ქმედებების ორგანიზება და ა.შ;

ეკონომიკური დაზვერვის ოპერაციული ხასიათის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას, დაზვერვას დაქვემდებარებულ ქვეყანაში კორუფციის ინსპირირებაზე ხელშეწყობა ან ინსპირირებულის გატართობა წარმოადგენს.

ამ შემთხვევაში სადაზვერო შეღწევალობის მნიშვნელოვან ჯგუფებს წარმოადგენენ:

- **საკანონმდებლო ხელისუფლება**, რომლის გამოყენებით შეიძლება განხორციელდეს მზვერავი სახელმწიფოს ინტერესებისათვის სასარგებლო და საკუთარი

სახელმწიფოს ინტერესებისათვის საზიანო საკანონმდებლო გადაწყვეტილებების მიღების ორგანიზება;

- **აღმასრულებელი ხელისუფლება**, რომლის გამოყენებით შეიძლება განხორციელდეს მზვერავი სახელმწიფოს სასარგებლო, საკუთარი სახელმწიფოს ინტერესებისათვის საზიანო, დანაშაულებრივი ლობირება, კანონდარღვევებზე აღმასრულებელი რგოლის უმოქმედობის უზრუნველყოფა.

ზემოჩამოთვლილი პროცესების ორგანიზებაში შესაძლოა მონაწილეობდნენ:

- უცხო ქვეყნების დაზვერვის თანამშრომლები
- უცხო ქვეყნების სადაზვერვო სამსახურების მიერ გადაბირებული პირები
- უცხო ქვეყნების სადაზვერვო სამსახურთან ნდობით ურთიერთობაში მყოფი პირები
- უცხო ქვეყნების სადაზვერვო კონტროლს დაქვემდებარებული კრიმინალები, კრიმინალური ავტორიტეტები და ა.შ.
- დასაშვებია კომბინირებული ვარიანტებიც.

განხილული თეორიული საკითხებთან მიმართებაში საყურადღებოა საქართველოს უახლეს ისტორიაში განვითარებული მოვლენები, მათ შორის ჩაის დარგის (მრეწველობის) ეტაპობრივი განადგურება. „გასულ საუკუნეში მეჩაიეობას უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა საქართველოს ეროვნული მეურნეობის სისტემაში. 80-იან წლებში იკრიფებოდა 500000 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი და ამ მაჩვენებლით იგი მსოფლიოს მეჩაიეობის ქვეყნებს შორის მე-4-5 ადგილს იკავებდა. ფუნქციონირებდა 150 პირველადი გადამუშავების, 22 დამფასოებელი, აგურა და ფილა ჩაის მწარმოებელი ფაბრიკა. დარგს გააჩნდა მძლავრი საწარმოო ინფრასტრუქტურა და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი.

მზა პროდუქციის უდიდესი ნაწილი (100-120 ათასი ტონა) ექსპორტზე (ძირითადად ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში) გადიოდა. მეჩაიეობაზე მოდიოდა საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსში წარმოებული მთლიანი პროდუქციის 18%-ზე მეტი.“ ამავე კვლევის მიხედვით 1990 წლიდან მნიშვნელოვნად შემცირდა ჩაის პროდუქციის წარმოება.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით 2006 წელს 1996 წელთან შედარებით ჩაის წარმოების ტემპები 66%-ით, ჩაის პლანტაციების მოცულობა 1992 წლიდან 1998 წლამდე 68000 ჰა-დან 59700 ჰა-მდე შემცირდა, ხოლო 2000-2006 წლამდე 0 ჰა-მდე დაეცა. ამასთან ერთად მოსავლიანობა 1980 წლიდან 2006 წლამდე 501,8 ათასი ტონიდან 6,6 ტონამდე დაეცა“.

გამოდის, რომ სახელმწიფოში ტოტალური კორუფციის ფონზე, სხვა დარგებში განვითარებული მოვლენების მსგავსად „ძველ ჩაის ფაბრიკებში დანადგარები განადგურდა და ჯართად ჩაბარდა, პლანტაციები გაველურდა, გადაჯიშდა...“ შ ე ს ა ბ ა მ ი ს ა დ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ განხილულ მიმართულებაზე:

ა) სახელმწიფოს ხელისუფლება სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ორგანიზების ფარგლებში იღებდა ოპერატიულ-აგენტურული და ანალიტიკური ხასიათის ინფორმაციებს მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ, თუმცა არ რეაგირებდა

## ან

ბ) სახელმწიფოს ხელისუფლება, სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ორგანიზების ფარგლებში არ იღებდა ოპერატიულ-აგენტურული და ანალიტიკური ხასიათის ინფორმაციებს მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ და მას შესაბამისად არ გააჩნდა რეაგირების პირობა.

მაღალი ალბათობით სახეზე იყო ვითარება საფრთ-

ხეების შესახებ ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ხელი-სუფლების მხრიდან რეაგირების თვალსაზრისით მათი არ, ან ვერ გამოყენების შესახებ, რაც შეიცავს პროცესებში მონა-წილე სახელისუფლებო წრეების უცხო სახელმწიფოების სა-დაზვერვო ზეგავლენის არეში არსებობის, აგრეთვე ეკონო-მიკური საბოტაჟის ნიშნებს.

გამოთქმული მოსაზრების გასამყარებლად შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩაის კულტურის მოყვანისა და სარე-ალიზაციო ბაზრის შენარჩუნება-გავრცობის პირობებში, შესა-ძლებელი იქნებოდა:

- დარგში დასაქმებული (მათ შორის სამეცნიერო კუთხით) მოქალაქეების უმუშევრობის თავიდან აცილება
- დარგის კიდევ უფრო გავრცობა, სარეალიზაციო ბაზ-რების შენარჩუნება და ახალ ბაზრებზე შეღწევადობი-სათვის ბრძოლა
- დამოუკიდებელ საქართველოში სისტემატიურობით და დაძაბულობით გამორჩეული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების განმუხტვა

თანამედროვე ეტაპზე ჩაის მწარმოებელი წამყვანი სახელმწიფოებია ჩინეთი, ინდოეთი, შრი-ლანკა, კენია, თურქეთი, იაპონია, ინდონეზია და სხვა. ჩაის ყველაზე დიდი მომხმარებელი ევროპაა, შემდეგ მოდიან აზიის ქვეყნები, ამერიკის კონტინენტი და სხვა.

შესაბამისად საქართველოში ჩაის კულტურის აღორ-ძინება და ბაზრებზე შეღწევადობა მყარი სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო, აგრეთვე სამეცნიერო ორგანიზების გა-რეშე წარმოუდგენელი იქნება.

გამოყენებული ლიერატურა:

1. თ.ენდელაძე. „საგარეო დაზვერვის სამსახურები.“ თბილისი 2007. გვ.6;

2. სუზანა დობორჯგინიძე. „ჩაის წარმოების განვითარების მიმართულებები საქართველოში“. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ფილოსოფიის დოქტორი ეკონომიკაში (Ph.D in Economics) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თბილისი. 2008. გვ.3. <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000355/Doborchginidze %20S.pdf>;

3. ლალი ფაცია. „ვინ მოკლა ქართული ჩაი“. 03 თებერვალი. 2014. <http://www.kvirispalitra.ge/mamul-deduli/20432 -vin-mokla-qarthuli-chai.html>;

**David kukhalashvili**

doctor of history, MIA associate professor of the academy.

**Mzevinar Guruli-kukhlashvili**

doctor of agricultural science.

## **theoretical aspects of economic intelligence.economic sabotage**

### **Summary**

Participating in the modern intelligence organization for the states interms of economic intelligence,operative agent and operative.operating activities are actively used directions foreign states at the expense of economic recources.own state resources perfection in high-grow states role of intelligence services are important economic sabotage.economic intelligence are the results of achievement and active action.

## თენგიზ ენდელაძე

ისტორიის დოქტორი, პროფესორი, გენერალ-მაიორი. სახელმწიფო და კორპორაციული უშიშროების სპეციალისტ-ანალიტიკოსი

### შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო რაზმი საქართველოს პირველი რესპუბლიკის უშიშროების სამსახურში

საქართველოში XX საუკუნის დასაწყისი და ათიანი წლები, ყველა მიმართულებით, რთული ვითარებით ხასიათდება. აქედან გამომდინარე მძიმე მდგომარეობა იყო ოპერატიული თვალსაზრისითაც. რთულდება კრიმინოგენული ვითარება, მოსახლეობაში ფეხს იკიდებს რევოლუციური განწყობები, ხდება შეიარაღებული გამოსვლები, იწყება ტერიტორიების ხელყოფა, ღვივდება სეპარატიზმი, ღრმავდება კორუფცია, სახეზეა ეკონომიკური სტაგნაცია. 1917-1918 წლებში, აფხაზეთსა და შიდა ქართლში სეპარატისტული მოძრაობის გამღვივებლად საბჭოთა რუსეთი, ხოლო აჭარაში-თურქეთი გამოდის. ისინი ცდილობდნენ სეპარატისტული მოძრაობისათვის ხან ეთნიკური, ხან რელიგიური და ხან აგრარული ხასიათი მიეცათ. ამ პოლიტიკის მიზანი იყო საქართველოს დანაწილება, ქართველი ერის დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის შენელება, ხოლო დამოუკიდებლობის მიღწევის შემთხვევაში ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობისათვის ხელის შეშლა.

დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოს მტრულად შეხვდა რუსეთი და თურქეთი. რუსეთის ე.წ. მეხუთე კოლონას შეადგენდნენ ქართველი ბოლშევიკები, ქართველი და ოსი სეპარატისტები, საქართველოში მცხოვრების რუსი და სომეხი ეროვნების მოსახლეობის დიდი ნაწილი. იმის

გამო რომ სამოქალაქო ომისა და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის პირობებში საბჭოთა რუსეთს 1918-1920 წლებში უშუალოდ არ შეეძლო საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია, იგი ყველაფერს აკეთებდა მეხუთე კოლონის გასაძლიერებლად. ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ წარმოებულ საქმიანობას კონტროლს უწევდა და ხელმძღვანელობდა რუსეთის კომპარტიის (ბოლშევიკების) კავკასიის სამხარეო კომიტეტი, ხოლო შემდგომში ამავე პარტიის ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურო. ამ ორგანიზაციებში მთავარ როლებს ასრულებდნენ ფილიპე მახარაძე, სერგეი კიროვი, სტეფანე შაუმიანი, სერგო ორჯონიკიძე და სხვები.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ უშუალო ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდნენ რუსეთის საგანგებო კომისია („ვეჩეკა“), დენიკინისა და ვრანგელის არმიების დაზვერვის სამსახურები, ამიერკავკასიაში დენიკინის მოხალისეთა არმიისა და სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლობის შტაბი (გენერალ ბარათოვის ხელმძღვანელობით), ამიერკავკასიის რუსთა ეროვნული საბჭო (ცენტრალური მმართველობით თბილისში), სოხუმისა და ბათუმის რუსთა ეროვნული საბჭოები, თბილისის რუსი საღვდელთა, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის საელჩოები თბილისში, აზერბაიჯანისა და სომხეთის საგანგებო კომისიები („აზჩეკა“ და „არმჩეკა“). ქართული სახელმწიფოს მტრებმა მოახერხეს აფხაზეთში, შიდა ქართლში, დუშეთში, შორაპნის მაზრაში, რაჭა-ლეჩხუმში, საჩხერეში შეიარაღებული გამოსვლების ორგანიზება.

რუსეთის საგანგებო კომისია („ვეჩეკა“) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურად იყენებდა რუსეთის ტერიტორიაზე არსებულ

ქართულ კოლონიებსა და მათ „ეროვნულ კომიტეტებს“, საქართველოს საკონსულოებს მოსკოვში, პეტროგრადში, სტავროპოლში, ვლადიკავკაზში, ოდესაში, ბაქოში, როგორც რუსეთში ისე საქართველოში მცხოვრებ ქართველ ბოლშევიკებსა და კრიმინალებს, მსოფლიო ომის ფრონტებიდან საქართველოში მობრუნებულ ქართველ და სომეხ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს, დენიკინისა და ვრანგელის არმიებში საქართველოდან მოხალისეებად წასვლის მსურველებს, საქართველოში მცხოვრებ არაქართველებს, ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოსულ ლტოლვილებს.

ქვეყანაში გახშირდა კორუფცია, მკვლევლობები, ძარცვები, კონტრაბანდა, სპეკულაცია, სახელმწიფო თუ კერძო საკუთრების დატაცება, განადგურება, დაწვა, აფეთქება, ყალბი ფულისა და დოკუმენტების ბეჭდვა. ასეთ ვითარებაში, 1918 წლის 2 აგვისტოს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული დადგენილების „შინაგან საქმეთა სამინისტროსთან განსაკუთრებული რაზმის დაარსებისა კონტრრევოლუციის, სპეკულაციისა და მძარცველობის წინააღმდეგ საბრძოლველად“ თანახმად შს სამინისტროსთან შეიქმნა განსაკუთრებული რაზმი. დამტკიცდა განსაკუთრებული რაზმის სამტატო ერთეული, რომელიც შედგებოდა: რაზმის უფროსისაგან (1), თანაშემწისაგან (2), უფროსი (20) და უმცროსი (40) თანამშრომლისაგან, აგრეთვე აგენტურისაგან, რომლის რიცხოვნობა განსაზღვრული არ იყო. რაზმის უფროსად დაინიშნა მელქისედექ (მექი) კეღია, ხოლო მის თანაშემწედ პლატონ ფაჩულია (საგანგებო რაზმს საქმიანობის ვადა ყოველ ექვს თვეში უგრძელდებოდა. 1920 წლის სექტემბრისათვის რაზმის სამტატო ერთეული 135-მდე გაიზარდა. ასევე გაიზარდა თანამშრომელთა სახელფასო განაკვეთები. 1921 წლის იანვარში ჩამოყალიბდა განსაკუთრებული რაზმის სამმართ-



ველო). რაზმის შექმნას ცხარე კამათი (დებატები) მოჰყვა, რო-გორც ეროვნულ საბჭოში ისე საზოგადოებასა და პრესის ფურცლებზე. ერთნი მას უანდარმერიის მსგავს ორგანოდ აღიქვამდნენ და დემოკრატიული სახელმწიფოსათვის მიუღებლად მიაჩნდათ, თვლიდნენ რომ მისი ფუნქციების შეთავსება პოლიციასაც შეეძლო. მეორე მხარის აზრით კი რაზმის შექმნა ნაკარნახევი იყო ღრობის მოთხოვნებით, ქვეყანაში შექმნილი ურთულესი ვითარებით.

განსაკუთრებული რაზმი მუშაობას 1918 წლის 17 აგვისტოს შეუდგა. მის მიერ წარმოებული ოპერატიულ-სამძებრო, აგენტურულ-ოპერატიული და აგენტურულ-ოპერაციული მუშაობა მიმართული იყო, როგორც უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების (დაზვერვების), ისე ქვეყნის შიგნით არსებული დესტრუქციული ძალების მიერ წარმოებული ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის გამოვლენის, თავიდან აცილებისა და აღკვეთისაკენ. რაზმის ტექნოლოგიებს განეკუთვნებოდა: აჯანყების ორგანიზების, იარაღის უკანონო შემოტანის, შენახვის, გამოყენების, ტერორისტული აქტების, საბოტაჟის, სპეკულაციისა და კონტრაბანდის, ჯაშუშობის (სამხედრო და სამოქალაქო საიღუმლო ინფორმაციების შეგროვება-გადაცემის), ყალბი ფულის დამზადების, ფულის კურსის დაცემის, ყალბი მონუმენტების დამზადების წინააღმდეგ ბრძოლა. საგანგებო რაზმის თანამშრომლები იყვნენ: ლევან გულაშვილი, ივანე ბეროშვილი-ბორისოვი, მიხეილ კამალოვი, დიმიტრი ალშიბაია, აკაკი სანაძე, პეტრე ბოკერია, შალვა მინდაძე, დანიელ ჩანტლაძე და სხვები, რომლებიც ღირსეულად ემსახურნენ სამშობლოს. იყვნენ უღირსნიც. მაგალითად, გ.ახვლედიანი და ი.შარაშიძე, რომლებიც ფარულად თანამშრომლობდნენ კომუნისტებთან. რაზმის საიღუმლო თანამშრომელთა რიგებში ირიცხებოდნენ თალიკო მალრაძე, სოლომონ ლუარსაბიშვილი და

სხვები. ერთ-ერთი პირველი, ვინც საგანგებო რაზმის მიერ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე იქნა დაპატიმრებული, ანტიქართული, ანტისახელმწიფოებრივი და ანტისამთავრობო აგიტაციის წარმოებისათვის, გახლდათ სომეხი მიკირტიჩ ჯანბეკოვი.

1919 წლის დამდეგიდან რუსეთის კომპარტიის (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა ახალი აჯანყებისათვის მზადება დაიწყო. ქართულმა მხარემ დააპატიმრა აჯანყების ხელმძღვანელი ცენტრი, თუმცა შეიარაღებულ გამოსვლას მაინც ჰქონდა ადგილი ლაგოდისში, სიღნაღში, ფოთში, გორში, სენაკში, სამტრედიისში, ჩოხატაურში, ოზურგეთში, ახალქალაქში. ბოლშევიკების მცდელობების მიუხედავად აღნიშნულმა გამოსვლებმა საყოველთაო ხასიათი ვერ მიიღო. მათი ლიკვიდაცია საქართველოს მთავრობას არ გაჭირვებია.

1920 წელს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და მთავრობის წინააღმდეგ ფარული და ღია ჯაშუშობისათვის განსაკუთრებული რაზმის მიერ დაპატიმრებულ იქნა 513 ბოლშევიკი, მათ შორის უცხო სახელმწიფოთა აგენტები, რომლებსაც ფარულად შემოჰქონდათ იარაღი, ფული, საბჭოთა ლიტერატურა, ანტისახელისუფლო პროკლამაციები, აგროვებდნენ სხვადასხვა ხასიათის საიდუმლო ცნობებს, იარაღს ეწეოდნენ ანტისახელმწიფოებრივ აგიტაციას, ავრცელებდნენ ხმებს და მოსახლეობას მოუწოდებდნენ ამბოხებისაკენ, ქმნიდნენ სადაზვერვო და შეიარაღებულ ჯგუფებს (ე.წ. წითელ პარტიზანულ რაზმებს).

საგანგებო რაზმის მიერ დაპატიმრებულ მნიშვნელოვან ფიგურათა შორის იყო 1918 წელს რუსეთიდან არალეგალურად შემოსული ბოლშევიკი ტიტე ლორთქიფანიძე. მას ფარულად შემოჰქონდა იარაღი და ლიტერატურა. 1919 წლის 13 სექტემბერს თბილისის ცენტრში (დღ. ელბაქიდის

დაღმართი-თ.ე.) ახორციელებს ტერორისტულ აქტს ამიერ-კავკასიაში დენიკინის მოხალისეთა არმიისა და სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლობის შტაბის უფროსზე, გენერალ ბარათოვზე (მძიმედ დაიჭრა, დაკარგა ფეხი). ის იყო ერთ-ერთი ორგანიზატორი საქართველოში ბოლშევიკური აჯანყებისა, რის გამოც მას 1920 წლის მაისში აპატიმრებენ და ასახლებენ საქართველოდან რუსეთში .

1920 წლის ივნისში საგანგებო რაზმი საქართველო-რუსეთის საზღვრის უკანონო გადმოლახვის მცდელობისას აკავებს კომუნისტებს: ილარიონ ჯიბლაძეს, ს.სურგულაძეს, ლევან კალანდარიშვილს, ნიკოლოზ ვოლკოვს. დაკავებულებს აღმოაჩნდათ სოხუმის ოლქისა და ამავე ოლქის მოსაზღვრე რაიონების რუკები, ქართული ჯარისა და საგუშაგოების განლაგების მითითებებით, დღიურები და სხვა დოკუმენტები. სურგულაძისა და ვოლკოვის სახელზე გაცემული მანდატების თანახმად ისინი იგზავნებოდნენ ყუბან-ჩერნომორიის რევოლუციურ კომიტეტში გაგრის ფრონტზე, მომავალი მუშაობის ზოგიერთი საკითხის შესათანხმებლად. დაკავებულებმა აღიარეს რომ მათი ქმედებები მიმართული იყო საქართველოში არსებული წეს-წყობილების წინააღმდეგ. იმავე დღეებში დააპატიმრეს კონსტანტინე მაკა-როვი, რომელსაც სხვა დოკუმენტებთან ერთად აღმოაჩნდა კომპარტიის სოხუმის საოლქო კომიტეტის ცირკულარული წერილი, რომელშიც იყო მოწოდება პარტიის წევრებისადმი, ეწარმოებინათ ფარული მუშაობა, მოქალაქეებს კი ბოიკოტით ეპასუხათ მთავრობის მიერ გამოცხადებული მობილიზაციისათვის. დაპატიმრებულთა შორის იყო რუსეთიდან 1919 წლის ბოლოს შემოგზავნილი აგენტი, ცნობილი რევოლუციონერი-ბოლშევიკი კობახიძე-მირსკი (საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი გეგეჭკორის დის

შვილი). მისი მთავარი ამოცანა იყო სადაზვერვო ხასიათის ინფორმაციების შეგროვება და შეიარაღებული რაზმების შექმნა. საგანგებო რაზმმა ჩაშალა ბაქოში მყოფი ქართველი ბოლშევიკების მცდელობა საქართველოში შემოეგზავნათ ტერორისტები და თ.ჟღენტის დახმარებით განეხორციელებინათ დანაშაულებრივი აქტები.

1920 წლის 17 აგვისტოს, სოხუმში გემ „ესტონზე“ ჩატარებული ჩხრეკის დროს დაპატიმრებული იქნენ ვოლკოვი და საზონოვი, რომელთაც აღმოაჩნდათ დიდძალი რუსული ფული. საზონოვს ასევე აღმოაჩნდა რუსეთის კავკასიის ფრონტის სარევისტრაციო პუნქტის („ვეჩეკას“ სტრუქტურული დანაყოფი-თ.ე.) მანდატი თბილისის, სოხუმისა და სოხუმის პორტის რუქების მისთვის გადაცემის შესახებ. გემზე ასევე აღმოჩენილი იქნა დიდძალი საბჭოთა ლიტერატურა.

რუსეთი შიდა ქართლში ქმნიდა და ტერორისტულ საქმიანობაში და აჯანყების მოწყობისათვის აქტიურად იყენებდა წითელ პარტიზანულ რაზმებს. მათ და მათთან ერთად იქ არალეგალურად მოქმედ რვა კაცთან ორგანიზაციას ხელმძღვანელობდნენ ე.გეგეჭკორი, ც.კიროვი და ს.ორჯონიკიძე. ეს უკანასკნელები მათ ასევე ამარაგებდნენ იარაღით, ფულით, ცოცხალი ძალით. არალეგალური ორგანიზაციის ერთ-ერთი წევრი იყო სადგურ „კობის“ ფოსტატელეგრაფის უფროსი ვლ. ცაბოლოვი, რომელიც მნიშვნელოვან სადაზვერვო ინფორმაციებს აწვდიდა რუსულ მხარეს. რუსეთის სასარგებლოდ მუშაობდა კობის მცხოვრები სოლომონ კარაევი, რომელიც სადაზვერვო ინფორმაციების მოპოვების მიზნით ხშირად გადაადგილდებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ის აგენტი-მეკავშირეს როლსაც ასრულებდა, ხვდებოდა რა არალეგალურად მომუშავეებს, რომელთა შორის მისი თანასოფლელი ზ.საბლივიც იყო. კარაევი მოპოვებულ ინფორმაციებს უშუალოდ

გადასცემდა ვლადიკავკაზში მყოფ ორჯონიკიძეს, კიროვსა და გეგეჭკორს. ს.კარაევი ჯაშუშობის ბრალდებით იქნა დაკავებული. საგანგებო რაზმს ბრძოლა უხდებოდა რუსეთის IX, X და XI არმიების საგანგებო განყოფილებების („ვეჩეკას“ სტრუქტურული დანაყოფები-თ.ე.) მიერ საქართველოში შემოგზავნილ ნომრიან თანამშრომლებთან, რომლებიც როგორც სადაზვერვო, ისე საბრძოლო ოპერაციებშიც იღებდნენ მონაწილეობას. მათ შორის იყვნენ X არმიის განსაკუთრებული განყოფილების თანამშრომლები ივანე ინაური და სერგო ხუციშვილი, რომლებიც ჩავარდნის შედეგად დააპატიმრეს. (მათი გათავისუფლება მხოლოდ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მოხდა). XI არმიის განსაკუთრებული განყოფილების დავალებით შემოსული ლავრენტი ბერია კი, რომელიც რეზიდენტის როლს ასრულებდა, დაპატიმრების შემდეგ მალევე გაათავისუფლეს. ის, ნაცვლად იმისა, რომ საქართველო რამდენიმე დღეში დაეტოვებინა, რუსეთის საელჩოში იწყებს მუშაობას, ფსევდონიმით „ლაკერბაია“. რუსეთის IX არმიის განსაკუთრებული განყოფილების ქართველი თანამშრომლის, 29-ე ნომრით მოქმედი, ალექსი ჩარკვიანის ძირითადი ამოცანა იყო სტავროპოლში მოქმედი საქართველოს საკონსულოს თანამშრომლების, საკონსულოში მისვლელებისა და მათი საქართველოში არსებული კავშირების დადგენა-შესწავლა, შემდგომში მათი გადაბირების მიზნით. ჩარკვიანი საქართველოში დაბრუნების საბაბით საკონსულოს ხშირი სტუმარი იყო და რამდენჯერმე საქართველოშიც იმყოფებოდა მის წინაშე მდგომი ზემოაღნიშნული ამოცანის შესრულების მიზნით.

საგანგებო რაზმის წევრების აბსოლუტური უმრავლესობამ პირნათლად მოიხადა თავისი ვალი და ბოლომდე საქართველოს პირველი რესპუბლიკის ერთგულ მებრძოლებად დარჩნენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვ.ფერაძე, ლ.მუმლაძე. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიის ნარკვევები XX-XXI საუკუნეები. თბ. 2008 წ.;

2. დ.კუხალაშვილი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის შექმნა-ჩამოყალიბებისა და საქმიანობის ისტორიიდან. თბ. 2006 წ.;

3. სუს არქივი, „საქჩეკას“ კოლეგიის სხდომების ოქმები, ტ.1.

4. საქართველოს ცენტრალური სახ. საისტორიო არქივი. ფონდი N1863, აღწ.1, საქმე 527;

5. ა.ინაური. „ფარი-საიმედო, ხმალი-ბასრი“. თბ. 1987 წ.;

6. თენგიზ ენდელაძე. მეზობელი ქვეყნების ძალოვანი სტრუქტურები საქართველოს გასაბჭოებისათვის ბრძოლაში. ურ. „ხელისუფლება და საზოგადოება“, N4 თბილისი 2007 წ.

**Tengiz Endeladze**

Doctor of History, Professor, General-major. Specialist-Analyst  
State and Corporate Security Service

**The Special force of the Ministry of Internal Affairs  
in the Security Service of the First Republic of  
Georgia**

Resume

The Special force of the Ministry of Internal Affairs of the First Republic of Georgia (1918-1921) was granted hard and honorable mission to protect the country from external and internal enemies. Its main target included spies and agents working for foreign countries. The absolute majority of the detachment fully met their patriotic duty and remained loyal to their homeland to the end of time.

## ვეფხია სამსონიძე

ჟურნალების: „აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები“, „ბიზნესი და მენეჯმენტი“ რედკოლეგიის წევრი

### საპერლუსტრაციო საქმიანობა ევროპასა და ამერიკაში

კორესპონდენციათა პერლუსტრაციას არა მარტო რუსეთში, არამედ ევროპულ ქვეყნებშიც ეწეოდნენ. ამჟამად, პრაქტიკულად შეუძლებელია იმის დადგენა, ვინ და როდის გახსნა პირველად წერილები საიდუმლოდ. კერძო და სახელმწიფო მიმოწერის დაწყების შემდეგ, ნებისმიერი ქვეყნის მთავრობა აკეთებდა ყველაფერს, რომ საკუთარი მოქალაქეების განწყობაზე შეეტყო. ჯერ კიდევ 1628 წელს, ფრანგმა კარდინალმა რიშელიემ პარიზის საფოსტო შენობაში წერილების საიდუმლოდ დათვალიერების სპეციალური ოთახის გახსნის განკარგულება გასცა. „შავი კაბინეტი“ - ასე ეწოდებოდა შენობას, სადაც პერლუსტრაცია ხორციელდებოდა. „გამორჩეული“ იმით იყო, რომ საქმიანობა ოფიციალური კანონმდებლობის დარღვევით ხორციელდებოდა. ჩინოვნიკ-პერლუსტრატორებისთვის საიდუმლო ინსტრუქციები იმ დროს მოქმედ კანონებზე უფრო მნიშვნელოვანი იყო. სახელმწიფო ყოველთვის უარყოფდა პერლუსტრაციის არსებობას. სხვაგვარად იგი ყოველგვარ აზრს იყო მოკლებული. პერლუსტრაცია, მასთან დაკავშირებული ყველა დეტალით ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახელმწიფო საიდუმლოებად ითვლებოდა. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს, შეიცვალა

ის უწყება, რომელიც პერლუსტრატორების საქმიანობას წარმართავდა. ამ საქმიანობას ეწოდნენ არა ფოსტის თანამშრომლები, არამედ პროფესიონალი კონტრამზვერავები. თვით საფოსტო კორესპონდენციების პერლუსტრაცია პოლიტიკური დაზვერვის მნიშვნელოვანი ელემენტი გახდა. ისეთ კანონმორჩილ ქვეყანაშიდაც კი, როგორც ინგლისია, პერლუსტრაცია არანაკლები აქტიურობით ხორციელდებოდა. ამაზე მეტყველებს კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის მიმონერა ამ საკითხთან დაკავშირებით.

ევროპაში, მეოცე საუკუნის დასაწყისში, მონარქიული რეჟიმების პირობებში, მათ შორის მწვავე კონფლიქტების ფონზე, მიმონერის საიდუმლოს დარღვევა აშკარა და ძალზე ხშირი იყო, რაც სერიოზულ გაკვირვებას საზოგადოებაში არ იწვევდა. ოფიციალურად აღიარებული მიმონერის საიდუმლოების დაცვის პრინციპი მსოფლიო საფოსტო კავშირმა 1874 წელს, კონვენციის სახით შექმნა. თვით ბრიტანეთის ფოსტა, (რომელსაც საუკეთესოს რეპუტაცია ჰქონდა, ყოველთვის ამაცობდა საკუთარი პატივისცემით კანონების მიმართ), უმნიშვნელო სულაც არ გახლდათ. ეს კარგად მოჩანს მარქსისა და ენგელსის მიმონერიდანაც, რომლებიც ინგლისში (პირველი ლონდონში, ხოლო მეორე მანჩესტერში) ემიგრაციაში ცხოვრობდნენ. მათ შორის გამართული ინტენსიური მიმონერა თხზულებათა რამდენიმე ტომს შეადგენს. უსასრულოდ შეიძლება იმ მაგალითების ჩამოთვლა, რაც ბრიტანულ საფოსტო სამსახურს პირდაპირ ეხება. ბრიტანეთში წერილები არ იკარგებოდა. პრუსიაში მოქმედი ფოსტა არა მარტო ხსნიდა და კონფისკაციას უქვემდებარ-



რებდა მარქსის წერილებს, არამედ მისსავე ხელწერის ფალსიფიცირებას ახორციელებდა. იმ პერიოდში, (1875 წელს) მარქსი პრუსიაში მკურნალობდა. ასეთი გაყალბებული ერთ-ერთი „მარქსის წერილი“, ფიგურირებდა 1852 წელს გამართულ კიოლნის პროცესზე, რომელიც კომუნისტების წინააღმდეგ იყო მიმართული. „შავი კაბინეტების“ ისტორია—ეს არის სპეცსამსახურების, პოლიტიკური დაზვერვის, მისი ტექნიკური, ინტელექტუალური ნაწილის წარსული, რომელიც კრიპტოგრაფიასა და კრიპტოანალიზს უკავშირდება. ამ მიმართულებას დასაბამი განვითარებულმა დასავლეთის ქვეყნებმა მისცა. 1774 წელს, ლუდოვიკო მეთხუთმეტემ ვენიდან პაკეტი მიიღო, რომლიდანაც საკუთარი დაშიფრული კორესპონდენციების ღია ტექსტების ასლები ამოიღო. ფრანგ მეფეს შეატყობინეს, რომ პაკეტი გამოგზავნილია აბატ უორჟელის მიერ, რომელიც იმ დროს ავსტრიაში ფრანგი ელჩის მდივანი გახლდათ. იგი ვენაში, შუალამით შეხვდა ნილბიან ადამიანს, 1000 ლუკატად ეს პაკეტი გადასცა, ხოლო დამატებით გულუხვი ჯილდოს სანაცვლოდ დაპირდა მას, რომ კვირაში ორჯერ გადასცემდა ვენაში „შავ კაბინეტში“ მოძიებულ სხვა ქვეყნებში „მიმოსვლაში“ არსებულ კორესპონდენციებს, რომლებსაც შიფრებს „ხსნიდნენ“. მეთვრამეტე საუკუნეში „შავი კაბინეტები“ ევროპაში იშვიათი მოვლენა სულაც აღარ იყო. „ყველაზე საუკეთესოს“ რეპუტაცია ვენაში არსებულმა მოიპოვა. საელჩოებში მისატან წერილებს ჯერ „შავი კაბინეტის“ შენობაში ხსნიდნენ. სანთლის აღზე აღნობდნენ დამლას, ნომრავდნენ გვერდებს და დირექტორის თანაშემწეს აწვდიდნენ. ის კითხულობდა, შემდეგ

გასცემდა განკარგულებას ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტებიდან ასლების გადაღების თაობაზე. დროის ეკონომიის მიზნით, გრძელი წერილები ოთხი სტენოგრაფისტის კარნახით გადაჰქონდათ ასლების სახით. ამ კაბინეტის განკარგულებაში იყო ტექსტების მთარგმნელი თითქმის ყველა ენიდან. ასლის მიღების შემდეგ, წერილი კვლავ კონვერტში თავსდებოდა, ბეჭედის დასმის შემდეგ კი დილის 9.30 საათზე ფოსტაში იგზავნებოდა. ნახევარი საათის შემდეგ, „შავი კაბინეტი“ ახალ ფოსტას იღებდა. მას იგივე მეთოდებით ამუშავებდნენ, ოღონდ უფრო ნაკლები აჩქარებით, რადგანაც სატრანზიტო იყო. კორესპონდენციების ნაწილი უკან დღის ორი საათისათვის ბრუნდებოდა, თუმცა, საღამოს შვიდ საათამდეც შეეძლოთ დაეგვიანებინათ. დილის 11 საათზე უკვე პოლიციის მიერ „მოპოვებული“ ფოსტა შემოდიოდა. 16.00 საათზე კურიერებს ამავე შენობაში ის წერილები შემოჰქონდათ, რომლებსაც უცხოური საელჩოები აგზავნიდნენ. მათ „გზავნილთა ნაკადში“ 18.30 საათზე აბრუნებდნენ. მოპოვებული მასალების ასლებს „შავი კაბინეტის“ დირექტორი ეცნობოდა. იგი გადაარჩევდა განსაკუთრებულად მნიშვნელოვან ინფორმაციებს. მათ სამეფო კარს, პოლიციელებს, ჩინოვნიკებს, დიპლომატებს, სამხედროებს უგზავნიდა.

ვენაში არსებული ათი ადამიანისგან შემდგარი „შავი კაბინეტი“ საშუალოდ 100 წერილს ყოველდღიურად გადაამუშავებდა. დაშიფრული კორესპონდენციები კრიპტოანალიტიკოსების განკარგულებაში ხვდებოდა. მათი შრომა გულუხვად ანაზღაურებადი იყო. კარლოს მეექვსე პრემიებს ამ ადამიანებს პირადად გადასცემდა, ხოლო ერცჰერცოგინია

მარია-ტერეზა „შავი კაბინეტის“ თანამშრომლებთან გამოყენებული შიფრების საიმედოობის თაობაზე ხშირად საუბრობდა. რუსეთის იმპერატორმა, ალექსანდრე მესამემ „შავი კაბინეტის“ ერთ-ერთ თანამშრომელს ოქროს პორტსიგარი გადასცა, რომელიც ბრილიანტებით იყო მორთული. ამით აღინიშნა მისი დამსახურება კორესპონდენციების კრიპტოგრაფიისა და პერლუსტრაციის საქმეში. ევროპაში „შავი კაბინეტების“ ერა ხანგრძლივი არ ყოფილა. მეცხრამეტე საუკუნის შუაგულში განვითარებულმა ბობოქარმა პოლიტიკურმა მოვლენებმა ევროპელი მონარქებისა და მათი საპოლიციო უწყებების აბსოლუტური ძალაუფლების შეზღუდვა გამოიწვია. თავისუფლებისა და თანასწორობის გამოცხადებული პრინციპები შეუთავსებადი აღმოჩნდა პოლიტიკურ დაზვერვასთან. კერძოდ, მიმონერის ცენზურასთან (კორესპონდენციების პერლუსტრაცია). 1844 წლის ივნისში, საზოგადოების მხრიდან პროტესტის ტალღა სწორედ წერილების პერლუსტრაციასთან დაკავშირებით აგორდა, რამაც ინგლისის მთავრობა აიძულა დიპლომატიური კორესპონდენციების „მიტაცება“ შეეწყვიტა. ავსტრიასა და საფრანგეთში „შავი კაბინეტები“ 1848 წელს დაიხურა. ჩრდილოეთ ამერიკაში „შავი კაბინეტები“, ან ანაზღაურებადი კრიპტოანალიტიკოსები არ არსებობდნენ. სათანადო ყურადღება კორესპონდენციების გახსნას, დიპლომატიური მიმონერის შიფრის მოხსნას მოგვიანებით, მხოლოდ მეოცე საუკუნის დასაწყისში მიეცა სათანადო ყურადღება. ერთ-ერთი გამორჩეული ამ მიმართულებით კრიპტოანალიტიკოსი ჰერბერტ იარდლი გახლდათ. იგი 1889 წლის 13 აპრილს, აშშ-ს დასავლეთში მდებ-

ბარე პატარა ქალაქ უორტინგტონში დაიბადა. მათემატიკური დისციპლინების გარდა სკოლაში საშუალო მოსწავლე იყო. ბავშვობაში სისხლის სამართლის საქმეებზე იურისტობაზე ოცნებობდა. ამის სანაცვლოდ, 23 წლის ასაკში აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტში გაშიფვრის მიმართულების თანამშრომელი გახდა. ეს იარღლისთვის სწორედაც შესაფერისი საქმიანობა იყო. „ავადმყოფობად“ ქცეული მისი ამ საქმით გატაცება კრიპტოანალიტიკურ ფოლკლორში „იარღლის სიმპტომი“ უწოდეს. 1917 წლის აპრილში, ამერიკა პირველ მსოფლიო ომში ჩაერთო. სწორედ ამ დროს მან ქვეყნის სამხედრო სამინისტრო კრიპტოგრაფიული სპეცსამსახურის შექმნის აუცილებლობაში დაარწმუნა. 1918 წლის აგვისტოში ევროპაში იმოგზაურა. მიზანი პირველ მსოფლიო ომში აშშ-ს მოკავშირეებთან კრიპტოანალიზში სრულყოფა გახლდათ. ინგლისში „ოთახი 40“-ის კარები (რომელიც კორესპონდენციების პერლუსტრაციით იყო დაკავებული) ყრუდ მიხურეს. არც საფრანგეთში, საგარეო საქმეთა სამინისტროს კრიპტოანალიტიკურ ბიუროში შეუშვეს. ამერიკაში დაბრუნების შემდეგ, 1919 წლის მაისში, სახელმწიფო მდივნის მოვალეობის შემსრულებლისგან, ფრენკ პოუკისგან, ასევე სამხედრო სამინისტროს შტაბის უფროსისგან „შიფრების გახსნის მუდმივმოქმედი ორგანიზაციის“ შექმნაზე თანხმობა მიიღო. იგი სპეცსამსახურების ისტორიაში ცნობილი გახდა როგორც „ამერიკული შავი კაბინეტი“, რომელმაც პირველი დაფინანსება 1921 წლის 30 ივნისს მიიღო. ახალი უწყების მთავარი ამოცანა იაპონიის კოდების გახსნა იყო. ამ ქვეყანასთან ურთიერთობა იმ პერიოდში ძალიან დაიძაბა.

1921 წლის ზაფხულში, კრიპტოანალიტიკოსების, უშუალოდ იარღლის დაძაბული საქმიანობის შედეგად, „ამერიკულმა შავმა კაბინეტმა“ 5 ივლისით დათარიღებული იაპონიიდან გაგზავნილი შიფროტელეგრამა გაშიფრა, რომელიც ტოკიოში იაპონიის ელჩმა ლონდონიდან გაგზავნა. ტექსტი შეიცავდა ინფორმაციას განიარაღების საკითხში კონფერენციის თაობაზე პირველად ინფორმაციას, რომელიც იმავე წლის ნოემბერში, ვაშინგტონში უნდა გამართულიყო. „ამერიკული შავი კაბინეტის“ საქმიანობის შედეგად, სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციების ჩატარების დროს 5 ათასზე მეტი დაშიფრული შეტყობინების ხელში ჩაგდება მოხერხდა. მეოცე საუკუნის დასაწყისში, ამერიკული სპეცსამსახურები კორესპონდენციების ტოტალურ პერლუსტრაციას არ ახორციელებდნენ.

კონტრდაზვერვას პირველ რიგში დიპლომატიური მიმონერა აინტერესებდა. 1917-1929 წლების პერიოდში, „ამერიკულმა შავმა კაბინეტმა“ 45 ათასი შიფროტელეგრამა წაიკითხა, რომლებიც ინგლისის, გერმანიის, დომინიკის რესპუბლიკის, ესპანეთის, ჩინეთის, კოსტა-რიკის, კუბის, ლიბერიის, მექსიკის, ნიკარაგუას, პანამის, პერუს, სალვადორის, საბჭოთა კავშირის, საფრანგეთის, ჩილესა და იაპონიის პოლიტიკური უწყებების მიერ იყო გაგზავნილი. 1929 წლისათვის „ამერიკული შავი კაბინეტის“ ნაყოფიერ მოღვაწეობას წერტილი უნდა დასმოდა. ჰენრი სტიმსონი, სახელმწიფო მდივანი პრეზიდენტ ჰუვერის კაბინეტში მაღალი მორალური თვისებების ადამიანი აღმოჩნდა. პოსტის დაკავების, რამდენიმე გაშიფრული კრიპტოგრამის მიღების შემ-

დეგ, შექცების მაგიერ ამ ორგანიზაციის ჯაშუშური საქმიანობა მკაცრად დაგმო და „ჯაშუშთა ხელობის ყველაზე საზიზღლარი სახეობა“ უწოდა. შეაფასა როგორც ურთიერთ-ნდობის პრინციპის უკიდურეს დარღვევად, რომელსაც იგი როგორც პირად საქმეებში, ასევე მის მიერ განხორციელებულ საგარეო ურთიერთობებში განუხრელად იცავდა. მან „შავ კაბინეტს“ ყოველგვარი ფინანსური მხარდაჭერა შეუწყვიტა, რითაც ფაქტიურად მისი არსებობა შეწყვიტა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Дэвид Кан. Взломщики кодов. М.: Центрполиграф 2000, 2002. -472. [www.elitarium.ru](http://www.elitarium.ru)

2. (Разоблачение о Кёльнском процессе коммунистов. Соч., т. 8, с. 475—477). Медведев Ж.А. «Тайна переписки охраняется законом» 1972 С. 465/466. [www.marxists.org](http://www.marxists.org);

3.(Маркс — Энгельсу от 3 марта 1852 г. Соч. Т. 28. С. 28. Изд. 2). Соболева Т. А. История шифровального дела в России. — ОЛМА-ПРЕСС Образование, 2002. 512 с. <https://books.google.co.il>;

Vepkhia Samsonidze

Member of Editorial Board of “Audit, Accounting, Finances”,  
“Business and Management”

## Perlustration Activities in Europe and America

### Resume

Perlustration of correspondence for a long time has been under great interest not only in Russia, but in Europe and America as well. This matter is in direct connection with state security and intelligence services.

## კორპორაციული უსაფრთხოება

ნიკოლოზ ბალახაძე

წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის მართვისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ფაკულტეტის სტუდენტი

### კომპანიათა უსაფრთხოება, მათი კავშირი სახელმწიფო უშიშროებასთან

სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფის მნიშვნელოვან პირობას სახელმწიფო და კერძო სექტორის გარე და შიდა საფრთხეებისაგან დაცვა წარმოადგენს. ამ პროცესში რომელიმე სექტორზე დისბალანსი სახელმწიფო უშიშროების ორგანიზების პროცესზე დამანგრეველად მოქმედებს.

თანამედროვე ეტაპზე ქართული კომპანიები ძირითადად გაურბიან საკუთარი უსაფრთხოების სისტემების შექმნის ორგანიზებულ პროცესებს, რომლის შედეგადაც ისინი მუდმივად იმყოფებიან ისეთი საფრთხის ქვეშ, როგორცაა არაკეთილსინდისიერი კონკურენცია, რომლის პირობებში მაღალი ალბათობით შესაძლებელია ისეთი ოპერაციული ხასიათის ქმედებები, როგორცაა:

- კომპანიათა შორის ჯაშუშობა
- ობიექტი კომპანიის (კომპანიების) თანამშრომლების ჩართვა თაღლითურ და კორუფციულ ქმედებებში
- ობიექტი კომპანიის საავტორო უფლებების დარღვევა და სხვა

შესაბამისად კომპანიის გამართულ მუშაობაზე დამაზიანებელი ზეგავლენის მოხდენა შესაძლებელია გარე და შიდა ფაქტორების გათვალისწინებით. საკვლევი თემა განსაკუთრებით აქტუალობას იძენს იმ შემთხვევაში, როდესაც დაინტერესებული სახელმწიფოები თავისი კომპანიების, ობიექტ ქვეყნებში შეღწევალობის მიზნით, კორპორაციული

უსაფრთხოების ორგანიზების ფარგლებში, სადაზვერვო სამსახურებთან ერთად კოორდინირებულად მოქმედებენ და დაინტერესებული არიან პოზიციათა ხელსაყრელობის მიზნით შეაღწიონ სამიზნე სახელმწიფოების ეკონომიკურ სექტორებში. სწორედ ამიტომ სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფის მნიშვნელოვან ამოცანას ეკონომიკური სექტორების მყარი დაცვა წარმოადგენს, რომელიც თავის თავში გულისხმობს ქვეყნის შიდა და საერთაშორისო არეალზე ქართული კომპანიებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნას. შესაბამისად სახელმწიფოს ორი უმნიშვნელოვანესი ამოცანა გააჩნია:

- სახელმწიფო კომპანიებისათვის საშინაო და საგარეო უსაფრთხო სისტემის შექმნა
- კერძო ქართული კომპანიებისათვის საშინაო და საგარეო უსაფრთხო სისტემის შექმნა

აღნიშნული ამოცანების გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვან სეგმენტებს სახელმწიფოს სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო სამსახურები წარმოადგენენ. ამასთან ერთად ქვეყნის შიგნით უსაფრთხო სისტემის შექმნის მნიშვნელოვან გარანტიას სახელმწიფოში არსებული სტაბილური ოპერატიული ვითარება განაპირობებს. შესაბამისად ქართული კომპანიების საერთაშორისო ასპარეზზე გასასვლელად და დასამკვიდრებლად, ანალოგური მიმართულებით არსებული ვითარების ირგვლივ სპეციალურ სამსახურებს უნდა ჰქონდეთ შექმნილი მყარი ინფორმაციული აღჭურვის პროცესი, როგორც სახელმწიფოსათვის, ისე კერძო სექტორში მოღვაწე სახელმწიფო და კერძო ქართული კომპანიებისათვის. შესაბამისად, სახელმწიფოს სადაზვერვო სამსახურთან კოორდინირებული ქმედებების შემთხვევაში კომპანიები გადაწყვეტილებას ამა თუ იმ ქვეყანაში დასამკვიდრებლად მიიღებენ სათანადო ინფორმაციების ფლობის



შემთხვევაში. გამოთქმულ მოსაზრებას ამყარებს ის გარემოება, რომ სადაზვერვო სამსახურები, როგორც წესი ფლობენ ამომწურავ ინფორმაციებს ობიექტ სახელმწიფოებში არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური ვითარების შესახებ. შესაბამისად ზემოაღნიშნული კოორდინაცია იძლევა საშუალებას კომპანიებმა სწორად განსაზღვრონ პერსპექტიულ ბაზარზე შეღწევისათვის რამდენად უსაფრთხო და ხელსაყრელი გარემოა შექმნილი. ასეთი ურთიერთობა საყურადღებოა იმ კუთხითაც, რომ კომპანიას ეძლევა საშუალება განსაზღვროს ინვენსტიციის მიღების ან თანაინვესტირების პროგრამებში მონაწილეობის უსაფრთხოება და მიზანშეწონილობა. ასეთ შემთხვევაში კომპანიამ შეიძლება თავიდან აიცილოს კონტაქტები ტერორისტული ორგანიზაციების, ნარკოკარტელების მიერ დაფინანსებულ კომპანიებთან, რომელთა ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზანს სოლიდური, უკანონო გზით მოპოვებული ფულადი თანხების გათეთრება წარმოადგენს.

საგარეო ურთიერთობის ორგანიზების პროცესის მსგავსად ქართული კომპანიების ქვეყნის შიდა ბაზრებზე უსაფრთხო მოღვაწეობა სხვადასხვა შიდა თუ გარე საფრთხეებიდან დაცვის კუთხით სახელმწიფოს კონტრსადაზვერვო სამსახურთან მყარი კოორდინაციით მიიღწევა. საკითხი აქტუალურია იმ კუთხით, რომ ქართული კომპანიები ქვეყნის შიგნით აქტიურად თანამშრომლობენ ან აქვთ განწყობა მათთან თანამშრომლობისა პერსპექტივაში. გემოსხენებულის მსგავსად, სახელმწიფოს კონტრსადაზვერვო სამსახურებთან მყარი კოორდინაციის შემთხვევაში, ქართულ კომპანიებს აქვს შესაძლებლობა მიიღონ სათანადო ინფორმაცია, არსებულ ან პერსპექტიულ კონტრაქტორ უცხოურ კომპანიასთან საქმიანი ურთიერთობისას მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ.

მსოფლიოს განვითარებულ სახელმწიფოებში დამკვიდრებული წესის მსგავსად მნიშვნელოვანია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს კომპანიათა შიდა უსაფრთხოების ორგანიზების პროცესს, რომელიც ძირითადად დამყარებულია:

- კომპანიის საკადრო უსაფრთხოებაზე
- კომპანიის ფინანსურ უსაფრთხოებაზე

საკადრო უსაფრთხოება მოიცავს კადრების ობიექტური შერჩევა-შესწავლის პროცესს. რაც შეეხება პერსონალის კონტროლს, მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა დაკისრებული მოვალეობებისადმი დამოკიდებულების, მინიჭებული უფლებების კეთილსინდისიერი გამოყენების ხარისხს.

კონტროლის პროცესში სასურველია განისაზღვროს: შესასრულებელ საქმესთან, ანაზღაურებასთან, კომპანიის საქმიანობა-პოლიტიკასთან და სხვა საკითხებთან კმაყოფილების დონე და სხვა. აღნიშნულ და სხვა მიმართულებებზე სწორი კონტროლით შესაძლებელია თავიდან იყოს აცილებული არაკეთილი განწყობის მქონე კომპანიის თანამშრომლის კონკურენტი კომპანიის სადაზვერვო სამსახურისათვის პოტენციური თანამშრომლობა.

ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას კომპანიის შიგნით კორუფციული პროცესების აღმოფხვრა წარმოადგენს. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს საბუღალტრო დოკუმენტაციის გამართულ და კეთილსინდისიერ წარმოებას, მათი კონფიდენციალობის მაღალი ხარისხით დაცვის ორგანიზებას. წინააღმდეგ შემთხვევაში არსებობს კომპანიის ინტერესებისათვის დამაზიანებელი ინფორმაციის გაჟონვის საფრთხე.

ზემოჩამოთვლილი პროცესების სწორი ორგანიზე-

ბისათვის კომპანიის სტრუქტურაში აუცილებელია არსებობდეს:

- კომპანიის სადაზვერვო ფუნქციის მქონე სამსახური
- კომპანიის კონტრსადაზვერვო ფუნქციის მქონე სამსახური

კომპანიის სადაზვერვო სამსახურის არსებობა მეტად მნიშვნელოვანია. მისი მეშვეობით შესაძლებელია კონკურენტი კომპანიების შესწავლა, ინფორმაციის შეკრება მათი მუშაობის, საკადრო პოლიტიკის, მიმწოდებლების, პარტნიორებისა და პერსპექტიული პარტნიორების შესახებ. ამ პროცესის სწორი დაგეგმარება იძლევა საშუალებას კომპანიის მენეჯმენტმა წინასწარ შეიტყოს რამდენად კეთილსინდისიერი და კანონიერი საშუალებებით აპირებს კონკურენციის განევას კომპანია მომავალში, რათა მომზადდეს დამაზიანებელი ზემოქმედების საწინააღმდეგო გეგმა.

კომპანიის კონტრსადაზვერვო სამსახურის მიზანია კომპანიის შიგნით კონკურენტი კომპანიებისაგან ან დანაშაულებრივი დაჯგუფებებისაგან მომდინარე დამაზიანებელი ქმედებების ჩამდენი თუ ხელმშემწყობი პირების დროული გამოვლენა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

კორპორაციული ჯაშუშობის კუთხით მიმოვიხილოთ რამოდენიმე მაგალითი. 1997 წელს, კომპანიის „Gillette“ ინჟინერმა, რომელიც მუშაობდა მომავალი თაობის საპარსი სისტემის შექმნაზე, კონფიდენციალური ინფორმაცია გააცნო კომპანიის კონკურენტებს. ამავე პერიოდში კორპორაციულ ჯაშუშობას დაექვემდებარა კომპანია „Avery Denison Corporation“, რომლის თანამშრომლის მოსყიდვა კვლევის „Four Pillars Enterprise“ მონაცემების მოპოვების მიზნით განხორციელდა, რამაც კომპანიას მილიონობით დოლარი დააკარგვინა. 2013 წელს რუსეთის ფედერაციაში დააკავეს პირთა ჯგუფი, რომლებსაც სტავროპოლში მოქმედ ქარხანაში

„მონოკრისტალი“ მუშაობის გამოცდილება გააჩნდათ. ჯგუფის მიერ ჩინეთის კონკურენტ კომპანიისათვის გადაცემული, აღნიშნული ქარხნიდან მოპარული ტექნოლოგიის ღირებულებამ 14 მილიონი რუბლის ზარალი გამოიწვია.

შეიძლება დავასკვნათ, რომ კომპანიის სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ფუნქციის მქონე სამსახურების მემფობით კომპანიის ხელმძღვანელ რგოლს აქვს შესაძლებლობა კომპანიის დაზიანებით დაინტერესებული პირების (პირთა ჯგუფების) შესახებ ინდივიდუალურ რეჟიმში მიიღონ წინმსწრები ინფორმაციები და სწორად დაგეგმონ საფრთხეების თავიდან აცილების გზები.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. „Industrial Espionage“. by ME Kabay, PhD, [www.mekabay.com/overviews/industrial\\_espionage.pdf](http://www.mekabay.com/overviews/industrial_espionage.pdf);
2. Кравцов Андрей Андреевич, Желнов Илья Игоревич. „О промышленном и экономическом шпионаже, а также недобросовестной конкуренции“. <http://mir-nauki.com/PDF/15EM N114 .pdf>;
3. „Famous Cases of Corporate Espionage“. [www.bloomberg.com/news/photo-essays/2011-09-20/famous-cases-of-corporate-espionage](http://www.bloomberg.com/news/photo-essays/2011-09-20/famous-cases-of-corporate-espionage);
4. „5 MOST FAMOUS CASES OF INDUSTRIAL ESPIONAGE“.01/26/17. by Attar Mayam. <http://blog.inventus.com/blog/5-most-famous-cases-of-industrial-espionage>;
5. „На Ставрополье 5 человек осудили за корпоративный шпионаж на Китай“. <http://yug.svpressa.ru/accidents/news/137415/105>.

**Nikoloz Balakhadze**

Faculty of business Management and Information technologies  
of st. Grigol Feradze Tbilisi Teaching University

## **Safety of Companies, Their Union with State Security**

### **Resume**

The issue is relevant to the fact that, like the process of organizing foreign relations, Georgian companies are able to ensure safe work in the domestic markets of the country-with a strong coordination with state intelligence and counter-intelligence services in terms of protection from various internal and external threats, which is unfortunately not practiced by foreign companies by selling products of Georgian sales markets, the production of which is possible within the country itself.

ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი, სახელმწიფო და კორპორაციული უსაფრთხოების სპეციალისტ-ანალიტიკოსი

**კონტრაფაქციული და ფალსიფიცირებული  
პროდუქცია- სერიოზული საფრთხე ქვეყნის  
ეკონომიური უსაფრთხოებისთვის**

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, დაიწყო რთული და წინააღმდეგობებით სავსე პროცესები დამოუკიდებელი ქვეყნისთვის აუცილებელი და უმნიშვნელოვანესი ატრიბუტების შექმნისა და ჩამოყალიბების მიზნით.

ქვეყნის დამოუკიდებელი ინსტიტუტების ჩამოყალიბებისა და სრულყოფის პროცესი ჯერ კიდევ გრძელდება, რამდენადაც ჯერ კიდევ ბევრ ახლადშექმნილ ინსტიტუტს ახასიათებს სიმყიფე, ხოლო ზოგიერთი, ერთი შეხედვით, ნაკლებ მნიშვნელოვანი ღირებულების ქვეყნის მოსახლეობის მიერ აღიარება და გაცნობიერება-გარკვეული, მენტალურად განსხვავებული შეხედულებების დაბრკოლებათა გადალახვის ხარჯზე ხდება. ამ უკანასკნელთა შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღირებულება კონტრაფაქციასთან ეფექტური ბრძოლის აუცილებლობის გაცნობიერებაა. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა 2016 წლის აგვისტოში ბათუმში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენცია „საქართველო კონტრაფაქციის წინააღმდეგ“, რომლის ფარგლებშიც ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში არსებული ევროპული და საერთაშორისო სტანდარტების გამოცდილების გაზიარება მოხდა.

დღესდღეობით საქართველოში ბრენდების გაყალ-

ბების მასშტაბებმა, მათ აღსაკვეთად გასატარებელი ღონისძიებების გამკაცრება დააყენა დღის წესრიგში და ახლო მომავალში იმ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს, რომლებიც ბრენდულ საქონელს აყალებენ - არა-მარტო პროდუქცია ჩამოერთმევათ, არამედ ბრენდებზე მიყენებული ზარალის ანაზღაურებაც დაეკისრებათ.

კონტრაფაქციული და ფალსიფიცირებული პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია ქვეყნის ეკონომიური უსაფრთხოებისთვისაც სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს. სტატისტიკური ინფორმაციების ანალიზმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას საფუძველი მისცა დასკვნისათვის, რომ გაყალბებული ბრენდული საქონლით ვაჭრობა ქვეყნის ბიუჯეტს ყოველწლიურად 200 მილიონ ლარზე მეტს აკარგვინებს. გარდა ზემოაღნიშნულისა, სამომხმარებლო ბაზარზე უხარისხო, ხშირად კი არცთუ უსაფრთხო პროდუქციის არსებობა ვნებს ერის ჯანმრთელობას და ზოგიერთ შემთხვევაში მომხმარებელთა სიცოცხლესაც კი ემუქრება.

ბრენდების გაყალბებების და კონტრაფაქციის მასშტაბების წარმოსადგენად, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროს მხოლოდ ერთ-ერთი განშტოების შესახებ 2012 წლის მაისში, პირატული პროგრამების მომხმარებლებზე გამოქვეყნებული ინფორმაციაც მეტყველებს, რომლის მიხედვითაც - მსოფლიო რეიტინგში 91 პროცენტთან მაჩვენებლით საქართველო მეკობრული პროდუქციის უმსხვილეს მომხმარებლად დასახელებული, ხოლო რაც შეეხება ავტომობილების ნაწილების და ტანისამოსის ქვეყანაში არსებულ სამომხმარებლო ბაზრებს, მათი დაახლოებით 50 პროცენტი კონტრაფაქციული საქონლით არის გაჯერებული.

ბრენდების გაყალბების ყველაზე ამაზრზენ და სახიფათო მიმართულებად ფარმაცევტული პროდუქციის კონტრაფაქციული საქონლით ჩანაცვლება გვესახება, რამე-

თუ წამლებს ფალსიფიკაცია უშუალოდ ადამიანების ჯანმრთელობას და სიცოცხლეს ემუქრება.

კონტრაფაქციული და ფალსიფიცირებული პროდუქციის რეალიზაციის შედეგად გამოწვეული ზიანი პირობითად შეიძლება 4 ჯგუფში გავაერთიანოთ, კერძოდ:

- ქვეყნის ეკონომიკაზე მიყენებული ზიანი, რომელიც გამოსახება ფულადი გადასახადების არშესვლით სახელმწიფო ბიუჯეტში;
- ქვეყნის პრესტიჟზე მიყენებული ზიანი, რომელიც ასახვას ჰპოვებს როგორც მინიმუმ საინვესტიციო კლიმატის გაუარესებაში;
- პროდუქციაზე საავტორო უფლებების მქონე პიროვნებებზე, იურიდიულ პირებზე და ბრენდებზე მიყენებული მატერიალური ზარალი;
- კონტრაფაქციული და ფალსიფიცირებული პროდუქციის მომხმარებელთა ჯანმრთელობაზე მიყენებული ზიანი;
- ხარისხიანი პროდუქციის სასაქონლო ნიშნით შენიღბული უხარისხო პროდუქციის შექმნით მომხმარებლებზე მიყენებული ზარალი.

როგორც ვხედავთ, კონტრაფაქციული და ფალსიფიცირებული პროდუქციის წარმოება-რეალიზაციით გამოწვეული ზიანი საკმაოდ სერიოზულია. ამიტომ, მათ წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურების აუცილებლობა დროის მოთხოვნაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „ინტერვიუ Microsoft საქართველოს გენერალურ დირექტორთან შოთა დიღმელაშვილი. 08 აპრილი, 2015 <http://forbes.ge/news/627/interviu-Microsoft-saqarTvelos-generalur-direqtorTan>;

2. „კონტრაფაქცია“, სტუმარი - საქპატენტის თავმჯდომარე ნიკოლოზ გოგილიძე. <http://www.myvideo.ge/v/2603362>;



3. „Контрафактная продукция“. [www.bestreferat.ru/referat-197693.html](http://www.bestreferat.ru/referat-197693.html)

4. А.Я.Олейникова. „КОНТРАФАКТНАЯ ПРОДУКЦИЯ И ПРАВА НА РЕЗУЛЬТАТЫ ИНТЕЛЛЕКТУАЛЬНОЙ ДЕЯТЕЛЬНОСТИ“. (Тихоокеанский государственный университет, Хабаровск) 2013 г. [http://pnu.edu.ru/media/ejournal/articles-2014/TGU\\_4\\_211.pdf](http://pnu.edu.ru/media/ejournal/articles-2014/TGU_4_211.pdf)

**George Jabauri**

**Doctor of Physics and Mathematics, Security expert,  
Brand Protection manager**

**Contrafeited and falsified product is a great danger for  
country's economical security.**

Resume

Production and sale of Counterfeited and falsified products is a serious threat to the country's economic security. The recipients of a variety of damages caused by the production and sale of counterfeit goods are quite numerous and fight against the falsification of brands is really actual.